გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №4(306) 2024 წ. 16-29 თებერვალი ფასი 1 ლარი

ლევან თედიაშვილი

კაცი, რომელიც დააკლდა სამყაროს

მწუხარებას გამოვთქვამთ ლეგენდარული ჩემპიონის **ლევან თედიაშვილის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებსა და სრულიად საქართველოს!

გასულ წელს, ლევან თედიაშვილი, ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი წვლილისათვის და დაბადებიდან 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოვდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საიუბილეო მედლით და სეოკ-ის პრემიით, ბატონ ლევანს განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი ეკავა ქართულ სპორტში. ის იყო ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპორტსმენი, დიდი ჩემპიონი, რომელსაც პატივს სცემდა და აფასებდა საჭიდაო სამყარო მთელს მსოფლიოში. მან ჭიდაობის ქართულ სკოლას საყოველთაოდ გაუთქვა სახელი, ორჯერ მოიგო ოლიმპიური თამაშები, არაერთგზის მოიპოვა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

ლევან თედიაშვილი დაიბადა 1948 წლის 15 მარტს საგარეჯოში. თავისუფალი სტილით მოჭიდავე. XX და XXI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1972, მიუნხენი და 1976, მონრეალი). მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი: ოთხჯერ-თავისუფალ ჭიდაობაში (1971, 73, 74, 75), ერთხელ - სამბოში (1973). მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1978), მსოფლიოს თასის მფლობელი (1973), ევროპის სამგზის ჩემპიონი (1974, 76, 78), სსრკ ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი (1971) , სსრკ ორგზის ჩემპიონი (1973,74). სსრკ წლის საუკეთესო სპორტსმენი (1973). საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი (ბრინჯაოს პრიზი). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენის, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის, სოკის, ფილას, ღირსების ორდენების კავალერი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია

გამოთხოვება

კაცი-ლეგენდის სახელის უკვდავსაყოფად

20 თებერვალს უკანასკნელ გზაზე გავაცილებთ სპორტის ლეგენდას - ლევან თედიაშვილს.

ხშირ შემთხვევაში, მარტივი არ არის გამოხატო დიდებული ადამიანის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება, რადგან მას თან სხვა ემოციებიც ახლავს - პატივის, ღირსებისა და დიდების სათანადოდ დაფასების განცდა.

ლევან თედიაშვილი იყო უდიდესი სპორტსმენი და კაცობრიობისთვის ნამდვილი საჩუქარი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის სახელი ღირსეულად წარმოაჩინა. ჩვენ ვალდებულები ვართ, მის ხსოვნას შესაფერისი პატივი მივაგოთ.

ამიტომ, მისი სახელის უკვდავსაყოფად, გადავწყვიტეთ, სოფელ უდაბნოში ახალ - მრავალფუნქციურ სპორტულ დარბაზს მიენიჭოს **ლევან თედიაშვილის** სახელი. ასევე, ქალაქ საგარეჯოში, ***მისი სახელობის ქუჩა გაიხსნას.***

ჩვენ კი, მადლობა ვუთხრათ უფალს, რომ გვაჩუქა ლევან თედიაშვილი, რომელმაც დაგვიტოვა სიამაყის განცდა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ლეგენდები სამუდამოდ რჩებიან"...

ავთანდილ გულიკაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი

ლევანის სახელობის დარბაზი გაზაფხულზე გაიხსნება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოს სპორტულ დარბაზს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით ლეგენდარული ჩემპიონის, ლევან თედიაშვილის სახელი მიენიჭება.

კახეთის რეგიონში სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა აქტიურ რეჟიმში გრძელდება.

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **ბიორბი ალადაშვილი**, ***სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე*** **ლევან ლილუაშვილი** და ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი*** **ავთანდილ გულიკაშვილი** სოფელ უდაბნოში, ახალი მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობას ადგილზე გაეცნენ.

სამშენებლო სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა და მიმდინარე წლის გაზაფხულზე დასრულდება.

სპორტული დარბაზის მშენებლობა ***ადგილობრივი ბიუჯეტიდან*** 637 691 ლარით დაფინანსდა.

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

ლევან თედიაშვილი

კაცი – ლეგენდა

ლევან თედიაშვილი – დაიბადა 1948 წლის 15 მარტს, საგარეჯოში.

დედა – ალექსანდრა ბალანდინა, წარმოშობით რუსეთიდან, ვოლოგადსკის ოლქიდან იყო, კარგად იცოდა ქართული, ქართული ტრადიციებიც და პატივს სცემდა მათ.

მამა – ძიტესა თედიაშვილი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, მშრომელი, ალალი კაცი იყო.

ძმა – გერმანე ირიკალოვი. შვიდი წლიდან საგარეჯოში, თედიაშვილების ოჯახში იზრდებოდა. კარგად იცის ქართული. ძმას ჭიდაობაზე სიარული ბავშვობიდანვე მან ურჩია. ოჯახით მოსკოვში ცხოვრობს.

ოჯახი

მეუღლე – ნანა მჭედლიშვილი, პროფესიით ექიმი-ოფთალმოლოგი.

შვილები: ვახტანგი – დაიბადა 1972 წელს, გარდაიცვალა 1993 წლის სექტემბერში აფხაზეთის ომის ბოლო დღეს.

ბესო – დაიბადა 1974 წელს. ჰყავს ცოლ-შვილი.

ლევანის წარმატებებისა და გამარჯვებების „სკივრი“

1972 წლის მიუნხენისა და 1976 წლის მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.
მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი:
ოთხჯერ თავისუფალ ჭიდაობაში – 1971, 1973, 1974, 1975 წლებში;
ერთხელ სამბოში – 1973 წ.
მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორი – 1978წ.
მსოფლიო თასის მფლობელი – 1973წ.
ევროპის სამგზის ჩემპიონი – 1974, 1976, 1978 წლებში;
საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის ჩემპიონი – 1971წ;
საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი – 1973, 1974წწ.
ორგზის მეორე – 1969, 1980წწ. და მესამე – 1977წ პრიზიორი;
ლევანი ერთადერთი მოჭიდავეა მსოფლიოში, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში;
იყო ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი 82 და 90კგ-ში;
ევროპის ჩემპიონი 100კგ წონაში;
საბჭოთა კავშირის წლის (1973წ) საუკეთესო სპორტსმენი;
საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი – 1971, 1973, 1974 წწ-ში;
საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი;
ღირსების, ვახტანგ გორგასლის, სოკისა და ფილას ორდენების კავალერი;
ერთადერთი ქართველი, ვისაც ირანელებმა ტახტის ოქროს ორდენი მისცეს.



ორთაბრძოლები

ჩატარებული აქვს 640 ორთაბრძოლა

ლევანისათვის იდეალი იყო მახაჩკალელი იური შახმურადოვი, რომელსაც 1971 წლის ივლისში შეხვდა. ადვილი არ იყო ლევანისათვის მასთან შერკინება, მაგრამ როცა ლევანმა აქტიური ბრძოლით დაჯაბნა მოწინააღმდეგე, შახმურადოვმა გულითადად მიულოცა ლევანს ეს გამარჯვება. იშვიათია, რომ მეტოქემ მეტოქეს გულითადად მიულოცოს გამარჯვება, მაგრამ ლევანი ამას იმსახურებდა... და რატომ?

„თედიაშვილის აზრით, ნამდვილი მოჭიდავე მეტოქეს ზურგს არ შეაქცევს, აკრძალულ ილეთებს არ იხმარს და სადემონსტრაციო საათისკენ არ დაიწყებს მალიმალ მზერას.ერთი სიტყვით, ჭეშმარიტი მოჭიდავე ხალიჩაზე მარტო ქულებისათვის კი არ გამოდის, არამედ სახელისა და ღირსებისათვის“ (გაზ: „ლელო“ 1971წ).

და კიდევ, ლევანი ჭიდაობას ყოველთვის ღიმილით იწყებდა, ღიმილით ჭიდაობდა და ღიმილითვე ამთავრებდა. „ლევანმაც ვითომ სალაღობოდ მიდისო, ისე გახედა მეტოქეს, საკუთარი გამარჯვება იწამა“ (გაზ: „სამშობლო“ 1971წ).

სწორედ ეს ღიმილი იყო იური შახმურადოვს (რომელზეც „სოვეტსკი სპორტში“ ერთ-ერთი ჟურნალისტი იფიცებოდა, „პლანეტაზე არ არსებობს ძალა, რომელიც შახმურადოვს ხალიჩაზე ბეჭს დაადებინებსო“), წელში რომ ტეხავდა და მასთან შეხვედრისას მხოლოდ ვაუკაცური დამარცხებისათვის ხალიჩიდან არ გადიოდა. ასევე, მისი ღიმილი მორალურად და ფსიქოლოგიურად მოქმედებდა არცთუ ისე „ხელწამოსაკრავ ათლეტზე“ – ევროპის ჩემპიონ ჰანს შტოტმაისტერზე.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე (1971წ. აგვისტო-სექტემბერი) ფინიშზე შახმურადოვი და სიულჟინი საჭიდაოდ არ გამოცხადდნენ, ლევანმა მოუგო ტიმირიაევს და ***სსრ კავშირის ჩემპიონი*** გახდა.

ჭიდაობდა ელვისუსწრაფესად, წამის მეასედში შეეძლო ტაქტიკისა და სტრატეგიის შეცვლა, ამიტომაც ერიდებოდნენ მასთან შერკინებას. ახლაც ახსოვთ მის გულშემატკივრებს სოფიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე (1971წ) ლევანმა სენეგალელი მოჭიდავე 45 წამში გააკრა ხალიჩას, შვეიცარიელი – 30 წამში, პოლონელი – 40 წამში, ევროპისა და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს რუმინელ იორგას და შტოტმაისტერს „ხვდა ბედნიერება“ წილად 9 წუთი ყოფილიყვნენ საჭიდაო ხალიჩაზე. **ბურამ საღარაძე** – ლევანის იდეალი ჭიდაობაში: ***„– ლევანი ჭიდაობისთვისაა დაბადებული. როცა მის შეხვედრებს ვუყურებ, ვფიქრობ, ამ ბიჭს ნაკლს ვერ მოვუძებნი-მეთქი. მომადლებული აქვს დიდი ღონე, საოცარი სისწრაფე, პლასტიკურობა. ყოველივე ეს შერწყმულია გამბედაობასთან, ილეთების მდიდარ არსენალთან, გამჭრიახობასთან, გამარჯვებისაკენ დაუცხრომელ ლტოლვასთან. კიდევ ერთი რამ, რაც ასევე მისაბაძია ახალგაზრდა თაობის სპორტსმენთათვის – თედიაშვილს ამპარტავნობისა და მედიდურობის ნატამალიც არა აქვს. ძალიან თავმდაბალი, მოკრძალებული კაცია“ (გაზეთი „ლელო“, 1972წ).***

ვალერი რეზანცევი - ***ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში: – „გამოგიტყდებით, ვერ გამიგია, რით იბრძვის ლევანი – ღონე, ტექნიკა და ტაქტიკა რომ საჭიროა, ეს კარგა ხანია ვიცი. ამ შემთხვევაში ლაპარაკი სულ სხვა რამეზეა. ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, მეტოქე სულ მცირე ორი საათის შემდეგ მეცოდება. თედიაშვილი კი მოწინააღმდეგეს ჯერ კიდევ ჭიდაობის დაწყებამდე თანაუგრძნობს. ხალიჩაზე ყოველთვის ღიმილით გამოდის და თუ რაიმე ოინს არ ჩაიდენს, გაიხუმრებს მაინც. მე კი იუმორის გრძნობა ოლიმპიადის დაწყებამდე ორი თვით ადრე მიქრებაო“.***

ირანის გუნდის ხელმძღვანელი ჰაბმბ ბულური აღფრთოვანებული უყურებდა ლევანის ორთაბრძოლას: ***„– ლევან თედიაშვილს ისეთი თვისებები გააჩნია, რომელიც არც ერთ მოჭიდავეს არა აქვს. იგი განუმეორებელი ფალავანია. თითქმის მთელი ცხოვრება მაქვს გატარებული და მეგონა ხალიჩაზე აღარაფერი გამიკვირდებოდა. გამოგიტყდებით, ლ. თედიაშვილის ჭიდაობამ ეს აზრი გამიქარწყლა. იგი გასაოცარი ტექნიკისა და ძალის მქონეა. მისი ტექნიკური არსენალი ათ მოჭიდავესაც კი ეყოფა“.***

მაგრამ სული, სული როგორი აქვს? – ქართული, ქართული და კიდევ ერთხელ ქართული – გაიხსენებენ ირანში, შაჰის წინაშე გამართულ, შაჰის სახელობის ტურნირს ქართველები?! 70 შეკვრა (პაჩკა) ათასდოლარიანები შესთავაზეს ლევანს – იქნებ შაჰის ნაქები არ გაგვიკრაო ხალიჩას – ირანელებმა. შუაკაცი ხომ ქართველი იყო. ლევანის მისებურად ჩაეცინა და ერთი მილიონიო... ძლივს დათანხმდა შაჰი. მაგრამ სანამ ფულს „მოიტანდნენ“, ლევანმა წამებში შაჰის ფეხებთან გააკრა ბეჭებით ხალიჩას. გაკვირვებულ ირანელებს სუნთქვაც კი შეუჩერდათ – ულამაზესი ფანდებისა და დახვეწილი ილეთების მაყურებელთ. მილიონისა რა მოგახსენოთ, მაგრამ შაჰმა თითიდან ბეჭედი წაიძრო (რაც იშვიათად ხდება) და ლევანს ულამაზესი ბეჭედი აჩუქა (ლევანიმ ეს ბეჭედი ახლადშერთულ მეუღლეს ნანას აჩუქა).

ლევანი ერთადერთი მოჭიდავეა მსოფლიოში, რომელმაც საერთაშორისო სარბიელზე, სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა. ჯერ 82 კგ წონით კატეგორიაში – მსოფლიო ჩემპიონატისა და ოლიმპიადის მოგება და შემდეგ 90 კგ წონით კატეგორიაში ევროპის პირველობაზე.

1973 წლის სექტემბერში ირანის დედაქალაქში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში 12 ქვეყნის 69 ათლეტი იღებდა მონაწილეობას. თავისუფალ ჭიდაობაში ლევანმა ოქროს მედალი მოიპოვა და „დამსახურებულად“ გამოცხადდა გუბერნატორის მიერ გამართულ ბანკეტზე, რომელიც თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს გაუმართა.

საინტერსო იყო მაყურებლისათვის თედიაშვილ-ბენ პეტერსონის ბრძოლა. იქ ყოველ წამში თურმე ილეთი კეთდებოდა. მანამდე, ლევანმა 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაზე ამერიკელ ჯონ პეტერსონს (ბენის ძმას) მოუგო.

სამბისტები კი ამ დროს მეორე დღის შეჯიბრებისთვის ემზადებოდნენ, მაგრამ ვახტანგ ბალავაძემ – მწვრთნელმა და სამბისტთა მწვრთნელმა ლენელმა, ლევანს გამოუცხადეს – ხვალ სამბისტის ჩოხა უნდა ჩაიცვა, რადგან სამბისტი ვ. რუხლიაევი ავად გახდაო.

ლევანს კი როდის ეჭიდავა სამბო, აღარც ახსოვდა. ჩოხის ღილებიც კი ვერ შეიკრა წესიერად...

სამბისტთა პირველობაში ტოლს ვინ დაუდებდა ლევანს? თეირანის ცხელი სექტემბრის მსოფლიო ჩემპიონატზე 10 დღეში ლევანი ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. არადა 8 წელი სამბო აღარც კი ეჭიდავა.

„– ვფიქრობდი თუ არა ჩემპიონობაზე სამბოში? შეჯიბრების წინ საერთოდ, არ ვფიქრობ ხოლმე ჩემპიონობაზე ,მე მთელი არსებით მიყვარს და მიტაცებს ჭიდაობა, თავდაუზოგავად ვებმები ბრძოლაში“, – იხსენებდა ლევანი.

1974 წლის ივნისში ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში „პალასიო დელოს დეპორტესის“ სპორტის სასახლეში ლევანი ***ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლის*** მფლობელია მეორე საშუალო წონაში.

1974 წელს სტამბოლში ***მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი*** გახდა.

შემდეგ იყვნენ ჩემპიონები – გულიუტკინი, იარიგინი, სტრახოვი, იკაევი და კაკოშკინი... იმ დროს ლევანი გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, 90 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა. გულიუტკინთან მოულოდნელი, გაურკვეველი მარცხის შემდეგ თავისთავზე გულმოსული ლევანი იხსენებდა: – უფრო აქტიურად უნდა მეჭიდავა, უფრო დამაჯერებელი უნდა ყოფილიყო ჩემი გამოსვლა, მაშინ შეხვედრის შედეგებიც საალბათო და საჭოჭმანო აღარ გახდებოდა (ლევანს გულიუტკინთან მინსკში შეხვედრისას ქულის აღება დასჭირდა, რადგან 3:3 იყო ანგარიში. ვინც ქულას მოიპოვებდა, გამარჯვებული ის იქნებოდა. ლევანმა ილეთი წამოიწყო, მაგრამ ხელი მოწინააღმდეგის გაოფლილ ზურგზე აუცურდა და ორივე ლეიბის მიღმა გადაგორდა. ასეთ შემთხვევაში არც ერთს არ ეძლევა ქულა, მაგრამ რადგან გულიუტკინი კიეველი იყო, მსაჯმა, როგორც ჩანს, ქულა და გამარჯვება მას ჩაუთვალა). რაც შეეხება იკაევს, მას გულიუტკინი დამარცხებული ჰყავდა, ამიტომ ლევანთან შეხვედრისას ეცადა მეტი შანსი მოეპოვებინა და ლევანს ფეხში შეუვარდა, რასაც ლევანი ელოდა. ლევანმა ჩაიჩოქა, კისრულით წამოიღო და წმინდად მოუგო. ეს ***ბრძოლა „რეაქტიული სისწრაფით“*** მოხდა – 1 წუთში.



იარიგინმა უარი თქვა ლევანთან ორთაბრძოლაზე, გამარჯვება ლევანს ჩაეთვალა.

ასეთი რამ კი ხდებოდა ხალიჩაზე. 1972 წელს თბილისი საერთაშორისო ტურნირში შტოტმაისტერმა ნახა ლევანის გამარჯვებები და როცა მისი გვარი და ლევანის გვარი ერთად, როგორც მეტოქეები გამოცხადდა, სპორტულ ფორმაში გამოწყობილი შტოტმაისტერი მიუახლოვდა ლევანს, ხელი ჩამოართვა და გასახდელისაკენ წავიდა.

ეს ის შტოტმაისტერია, რომელთანაც შემდეგში იჭიდავა ლევანმა. ისინი სულ შვიდჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და აქედან ექვსი ლევანმა მოუგო. მინსკში ლევანმა შტოტმაისტერს 11:2 მოუგო, სადაც ლევანი ***მეხუთედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი*** (1976წ).

1976 წელს ***მიუნხენის ოლიმპიადაზე*** ლევანმა მოუგო სენეგალელ დიოპს, მონღოლ არტაგს, შვედ ელმგრენს, გერმანელ ნოიმაიერს, იორგას, შტოტმაისტერს და გახდა ***ჩემპიონი***.

წლები წლებს მიჰყვა და ლევანი დაემშვიდობა აქტიურ სპორტს. ერთხანს საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საპასუხისმგებლო პოსტზე იყო, შემდეგ კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, იყო საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში, კახეთის გუბერნატორის მოადგილე და სადაც უნდა ყოფილიყო, პარალელურად ყოველთვის აინტერესებდა და აინტერესებს ნორჩი, მომავალი მოჭიდავეების წვრთნისა და შეჯიბრებების შედეგები...

ბოლო წლებში მამა-პაპისეულ კერას ხშირად, ძალიან ხშირად უბრუნდება და მეგობრებით გარემოცული გარდასულ დღეთა სილამაზეს იხსენებს.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ დამატება ჟურნალი „გარეჯელები“
2014წ. №1(8)

სოფლის მეურნეობა

პროექტები, რომლებიც სოფლის მეურნეობის აღმავლობას ემსახურება

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ქვეყნის ხელისუფლების ხელშეწყობითა და დაფინანსებით, მთელ რიგ მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს ჩვენს ქვეყანაში სასოფლ;ო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რესურსების გამოყენების ეფექტურობის ამაღლების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავლიანობის ზრდისა და ხარისხის ამაღლების, მისი იმპორტჩანაცვლების ხელშეწყობისა და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით. ამ მხრივ გამონაკლისი არც ჩვენი მუნიციპალიტეტია, სადაც უკვე რამდენიმე წელია წარმატებით ხორციელდება ხეხილის ბაღების გაშენების, მეფუტკრეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარების ხელშემწყობი პროექტები, მნიშვნელოვანი ღონისძიებები იგეგმება ამ კუთხით მიმდინარე წლისთვისაც. კერძოდ, თუ რა, ამას ***საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის, სოფლის მეურნეობის აგრონინჟინერიის დოქტორ ნიკო ჯავახიშვილთან*** ქვემოთ მოტანილი დიალოგიდან შევიტყობთ.

– ბატონო ნიკო! ჩვენს მუნიციპალიტეტში ყველაზე გრძელვადიანი და აპრობირებული პროექტი „დანერგე მომავალი“ გახლდათ, რის წყალობითაც მუნიციპალიტეტში თითქმის 2 ათასი ჰექტარი მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი ბაღები გაშენდა. ამის შედეგად, გარდა ეკონომიკური სარგებლისა, გაჩნდა დამატებითი სამუშაო ადგილები, გარკვეულწილად გაუმჯობესდა ბუნებრივი პირობები (მცენარეები ხომ ჩვენი ატმოსფეროს „ფილტვებია“) და სხვა ყოველივე ამის გათვალისწინებით, გაგრძელდება თუ არა წელსაც ეს პროექტი?

– რა თქმა უნდა, საქართველოს სოფლის მეურრნეობის განვითარების სააგენტო წელსაც ახორციელებს აქტუალურ სახელმწიფო პროგრამებს, რომელშიც ერთ-ერთი ძირითადი „დანერგე მომავალია“ და ვიდრე შემდგომ საკითხებზე განვაგრძობდეთ საუბარს, აქვე დავძენ, რომ ამ პროექტში მონაწილეობისათვის განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა 28 თებერვალია.

– რაიმე ცვლილებები ხომ არაა პროექტში 2024 წლისათვის?

– არა, პროექტი, როგორც ადრე, ითვალისწინებს ქვეყნის რეგიონებში ხეხილის ახალი ბაღების გაშენებასა და სანერგეების მოწყობის სახელმწიფო ხელშეწყობას, საიდანაც გამონაკლისია შემდეგი თვითმმართველი ქალაქები: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი. ამ პროექტით პოტენციური ბენეფიციარები მიიღებენ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას, როგორც მრავალწლიანი კულტურების ახალი ბაღების გასაშენებლად, ასევე, თანამედროვე სანერგე მეურნეობების შესაქმნელად.. და რაც ამ პროექტის კიდევ ერთი დიდი პლიუსია – პოტენციურ ბენეფიციარს შეუძლია მიიღოს ფინანსური და ტექნიკური დახმარება პროექტის ორივე კომპონენტში ერთდროულად., ანუ როგორც ხეხილის ბაღების გაშენების, ისე სანერგეების მოწყობისათვის.

– რა კრიტერიუმებია საჭირო იმისათვის, რომ ბენეფიციარმა მონაწილეობა მიიღოს ამ პროექტში და მასზე გავრცელდეს გათვალისწინებული შეღავათები?

– დავიწყებ იმით, რომ პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მოქალაქეებმა, რომელთაც განაცხადის შევსებისათვის შეუსრულდათ 18 წელი და ამ ასაკის ზევით, საქართველოში დარეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, სააქციო და სხვა პასუხისმგებელ საზოგადოებებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს და ა.შ. რაც შეეხება პირობებს, ბენეფიციარი უნდა ფლობდეს არანაკლებ 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, ანდა, მიღებული აქვს სახელმწიფოსაგან გრძელვადიანი იჯარით. ბენეფიციარს არ გააჩნია დავალება შემოსავლების სამსახურის მიმართ, მიწა არ არის დაყადაღებული, ნაკვეთი უზრუნველყოფილია სარწყავი წყლით (მაქსიმუმ 500მ) და დამუშავებულია ნერგების დასარგავად, რაც შეეხება თანადაფინანსების მისაღებად წარმოსადგენ დოკუმენტაციის სიას, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ ჩვენს სამსახურში.

– როგორც ცნობილია, პროექტის ფარგლებში დაფინანსდება მხოლოდ მრავალწლიანი კულტურების – ხეხილის ბაღების გაშენება, რომლებიც ამა თუ იმ რეგიონისთვისაა რეკომენდებული, ჩვენთვის, კახეთის რეგიონისთვის რომელი კულტურებია შერჩეული?

– ესენია კაკლოვანები და ხილ-კენკროვანები: ატამი, ქლიავი, ტყემალი, ბალი, ალუბალი, გარგარი, ჟოლო, ხურმა, ბროწეული, კაკალი, ნუში, თხილი, ვაშლი, მსხალი ხეთისხილი და მაყვალი..

– ახალა კი პროექტის ძირითად საკითხს, სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობისა და თანადაფინანსების საკითხს მინდა შევეხოთ. რა ხარჯები დაუფინანსდებათ ბენეფიციარებს ახალი ბაღების გაშენების დროს?

– ამ პროექტით, მასში მონაწილე ბენეფიციარებს უფინანსდებათ შესასყიდი ნერგების 70%, ხოლო თუ ეს ნერგები იმპორტითაა ნაყიდი თითოეულ ძირზე მაქსიმალური ლიმიტი გაიზრდება არაუმეტეს 20%-ით. რაც შეეხება წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობას, ბენეფიციარს დაუფინანსდება მთლიანი თვითღირებულების 50% (არაუმეტეს 2500 ლარისა ერთ ჰექტარზე).

აქვე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ეს ნერგები და სარწყავი სისტემები შეძენილი უნდა იყოს საქართველოსა და სხვა ქვეყნების მხოლოდ კვალიფიციური კომპანიებისგან. ასევე, პროექტით განსაზღვრულია გასაშენებელი ბაღების ფართობი (20ჰა) და თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა. კერძოდ, 1 ჰა-ზე 10000 ლარი, ერთ ბენეფიციარზე მაქსიმალური თანადაფინანსების თანხა – 100000 ლარია.

– „დანერგე მომავალის“ ამოქმედების დღიდან რა გაკეთდა ჩვენს მუნიციპალიტეტში?

– ამ პროექტით საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მთლიანობაში გაშენებულია კაკლოვანი და ხილ-კენკროვანი კულტურების 2 ათასი ჰექტარი ახალი ბაღები, რითაც ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზე ვართ და ამას წელს უკვე ახალი ბაღები ფართობები შეემატება

– ამ პროექტით სანერგე მეურნეობები თუ მოეწყო?

– არა, ამის სურვილი ჯერ არავის გასჩენია.

– ქვეყანაში განსახორციელებელ აგროპროექტებს შორის მნიშვნელოვანია „აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა“. თუ შეიძლება მოკლედ, რას ითვალისწინებს იგი?

– ეს პროექტი ითვალისწინებს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევას, როგორც ერთწლიანების, ისე მრავალწლიანების, სადაც ბენეფიციარებს სახელმწიფოს მხრიდან უფინანსდება სადაზღვევო თანხის 70%. კერძოდ, ისეთი სტიქიური მოვლენების შემთხვევაში, როგორიცაა: წყალდიდობა, სეტყვა, ქარიშხალი. არ ფინანსდება გვალვა. რა თქმა უნდა, ამ შეღავათით ისარგებლებენ ისინი, ვისაც სათანადოდ აქვს გაფორმებული და დარეგისტრირებული შესაბამისი დოკუმენტაცია. აქვე მინდა დავძინო, რომ მარცვლეულ კულტურებში დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ 1-დან 30 ჰა ფართობზე და ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართული სადაზღვევო კომპანიები: „ალდაგი“, „ნიუვიუენი“ და სხვები.

– თხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობის პროგრამა წელსაც განხორციელდება თუ არა?

– ეს არის ერთ-ერთი მოქმედი პროგრამა, და რა თქმა უნდა, წელსაც გაგრძელდება, ამ პროგრამით შეუძლიათ ისარგებლონ ფერმერებმა, რომელთაც უნდათ თხილის გაშენება 0.2-დან არაუმეტეს 3.0 ჰა მიწის დარეგისტრირებულ ნაკვეთზე. აღნიშნულ ფართობზე ფერმერებს სახელმწიფოს მხრიდან დაერიცხებათ დახმარება ყოველ ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით 500 ლარი, რასაც ისინი მოახმარებენ შხამქიმიკატების, ფუნგიციდების, ჰერბიციდების და სასუქების შეძენას. პროგრამა უკვე დაიწყო და ჩვენს მუნიციპალიტეტში უკვე 8 ბენეფიციარს დაურეგისტრირდა განაცხადი. აქვე მინდა ამ ბაღების გაშენების მსურველებს ვაცნობო, რომ განაცხადების მიღების ვადა მარტის თვის ბოლომდე გრძელდება.

– რა პროექტებია გათვალისწინებული მეცხოველეობის დარგის მუშაკების ხელშეწყობისთვის?

– მიმდინარე წლიდან საქართველოს მთავრობის დადგენილებით იწყება მეცხოველეობის დარგის აღორძინება-განვითარების ხელშეწყობის მასშტაბური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან მაღალპროდუქტიული მეხორცული, მერძეული და კომბინირებული მიმართულების საქონლის მოშენების ხელშეწყობას, მათ შორის ყველა ამ განხრის პირუტყვისათვის სადგომი ბინების მშენებლობის ხელშეწყობას დაბალპროცენტიანი სახელმწიფო სესხების მეშვეობით, ბენეფიციარის მოთხოვნიდან გამომდინარე 5 მილიონ ლარამდე. ასევე ***მიმდინარეობს ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, რაც ვრცელდება:***

1. ბიოწარმოების ხელშეწყობაზე; 2. საკონსულტაციო მომსახურებასა და 3. თაფლისა და ცვილის ლაბორატორიულ მომსახურებაზე. ასევე ამ პროგრამაში ჩართულია მევენახეობის დარგი: კერძოდ, ***შეღავათებია დაწესებული*** ორგანული სასუქების, ვაზის მავნებლებისა და მწერების წინააღმდეგ გამოსაყენებელი ბიოპრეპარატების შეძენაში და სხვა. მოკლედ, ასეთია იმ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო პროექტების ჩამონათვალი, რომლებიც წლის დადგომიდანვე მოქმედებს ჩვენს მუნიციპალიტეტში და ძალზედ მნიშვნელოვანი ხელშეწყობა და დახმარებაა ჩვენში სასოფლო-სამეურნეო წარმოებით დაინტერესებული პირებისათვის. აქვე მინდა შევნიშნო და ალბათ თქვენც დამეთანხმებით, რომ ერთ საგაზეთო ინტერვიუში შეუძლებელია დაწვრილებით გადმოვცეთ ყველა ის ნიუანსი, რასაც ჩვენს მიერ ზემოხსენებული პროექტები ითვალისწინებენ. ამიტომ ვიტყვი, მხოლოდ ერთს, რომ პირებს, ვინც აღნიშნული საკითხებით არიან დაინტერესებულნი, ვთხოვთ ***მოგვმართონ ქალაქ საგარეჯოში, დავით აღმაშენებლის № 15-ში არსებულ ჩვენს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურში, სადაც ჩვენი სპეციალისტები ამომწურავ ცნობებს მივაწვდით მათთვის საინტერე სო თემებზე.***

ჩვენი სამსახურის კარები მუდამ დიაა ასეთი პირებისათვის.

ესაუბრა *გიორგი დაგახიშვილი*

მებაღეთა დასახმარებლად

ადრე გაზაფხულზე ხეხილის ბაღში ჩასატარებელი აგროტექნიკური ღონისძიებები

გაზაფხულთან ერთად მებაღეებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი დგება. რა აუცილებელი აგრონომიული სამუშაოები უნდა ჩატარდეს ბაღში, რომ მცენარეთა ჯანმრთელობაც შევინარჩუნოთ და უხვი მოსავალიც მივიღოთ.

1.გაზაფხულზე ხეხილის გასხვლის სამუშაოები, წვენთა მოძრობის დაწყებამდე უნდა ჩატარდეს. საქართველოს უმეტეს მუნიციპალიტეტში ამ სამუშაოს ჩატარება ზამთარშიც შეიძლება, თუ ამინდი ამის საშუალებას იძლევა.

2. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ადრე გაზაფხულზე ჩამოცვენილი ფოთლებისა და ანასხლავის დროულ გატანას და დაწვას.

3. გასხვლის შემდეგ მცენარის დამუშავებას ბაღის მალამოთი და სპილენძის შემცველი პრეპარატით.

4. მცენარეზე ხავსმდიერები, სოკოსგან და წყალმცენარეებისგან შემდგარი ორგანიზმებია. ისინი მთელი ზედაპირით აქტიურად ითვისებენ მცენარისგან წყალსა და მასში გახსნილ ნივთიერებებს, კეტავენ კანის სასუნთქ უჯრედებს და ხელს უშლიან მცენარის შიგა ქსოვილში ჰაერის მიწოდებას, რითაც მცენარეს უსპობენ ნორმალური განვითარების შესაძლებლობას. გარდა ამისა, მასში იზრდებიან და თავს აფარებენ სხვადასხვა მავნებლები.

5. **შტამბის შეთეთრება**: ხეს იცავს გაზაფხულზე მზით დამწვრობის, კანის აქერცვლის და ნაადრევი ყვავილობისგან. ამ პერიოდში ტემპერატურა დღისით უკვე საკმარისია იმისათვის, რომ ხის წვენმა მოძრაობა დაიწყოს და კვირტები გაიშალოს, დამე კი ტემპერატურა ხშირად ეცემა 0-ს ქვემოთ, იყინება ხის წვენი და კვირტები, ეს კი მოსავლიანობას მნიშვნელოვნად ამცირებს. შეთეთრების შემთხვევაში ხის შტამბი იმდენად აღარ თბება მზის სხივებით და ნაკლებია გაყინვის საფრთხე.

6. ცნობილია, კარგი მოსავლის მისაღებად, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურა ნიადაგის განოყიერებას საჭიროებს, ეს კი ნიშნავს მცენარის უზრუნველყოფას ზრდა-განვითარებისთვის აუცილებელი საკვები, მიკრო და მაკრო ელემენტებით.

7. მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა გაზაფხულიდანვე იწყება, როცა დღე-ღამის საშუალო ტემპერატურა +5 გრადუსს აღწევს. ამ დროს კვირტები ჯერ კიდევ მიძინებულია, კარგი პირობებია მცენარეთა შესაწამლად. ეს საშუალებას იძლევა მოისპოს სოკოვანი დაავადებების კერა და ამასთანავე გაანადგუროს მოზამთრე მავნებლები.

8.ადრე გაზაფხულზე ტენიან ნიადაგში გამოზამთრებული სარეველები ყველაზე ადვილად ამოსაღებია მიწიდან, სწორედ გაზაფხულზე ხეხილოვანი კულტურები ჯერ კიდევ მოსვენების მდგომარეობაშია, სარეველები კი გაცილებით ადრე იწყებენ გაღვიძებას, თანაც ვარჯთან ახლოს სარეველების ფესვიანად ამოძირკვისას ხეხილის ფესვთა სისტემა არ ზიანდება.

გასხვლის შემდეგ: 1 კგ ბორდო იტალიური ან 300 გრ კოსაიდი +100 ლიტრი წყალი, შეასხურეთ, კარგად გაბანეთ მცენარე.

როგორ დავამზადოთ ბაღის მალამო:

1. 200 გრ. უმარილო გამდნარი ქონი (ნებისმიერი), 50 გრ. ფუტკრის ცვილი (სანთელი), 50 გრ. კანიფოლი მოათავსეთ ემალირებულ ჭურჭელში და ნელ ცეცხლზე გადაადნეთ, განუწყვეტლივ ურიეთ. როდესაც მივა ადუღებამდე, გადმოდგით ცეცხლიდან და მიეცით შეგრილების საშუალება. ჯერ კიდევ თბილი მასა ჩაასხით მინის პატარა ქილებში და მჭიდროდ დაახურეთ თავი.

2. 200 გრ. კანიფოლი, 400 გრ. ფუტკრის ყვითელი (თეთრი არა) ცვილი და 200 გრ. ცხვრის ქონი. შეფარდება: 1 წილი კანიფოლი, ორი წილი ცვილი, ერთი წილი ქონი. მომზადების წესი: გავადნოთ ცალ-ცალკე ჭურჭელში კანიფოლი და ცვილი, შემდეგ შევურიოთ ერთმანეთს, დავუმატოთ ქონი და წვრილი ჭავლით ჩავასხათ ცივ წყალში, გაციებული მასა ამოვიღოთ წყლიდან და შევკრათ გუნდებად.

როგორ დავამზადოთ წყალხსნარი ხეების შესათეთრებლად:

2.5 კგ ჩაუმქრალ კირზე დავამატოთა10 ლიტრი წყალი. მასა უნდა იყოს ფაფისებრი, კირს უმატებენ წებოვან მასალას, თიხას ან სარეცხის საპონს, რათა წვიმამ არ ჩამორეცხოს. ასევე შესათეთრებლად აქტიურად იყენებენ წყლის ემულსიას.

ხავსმდიერებისთვის: პლასტმასის ჭურჭელში 10 ლ სამუშაო ხსნარის დასამზადებლად საჭიროა 0,2 კგ რკინის ძაღა და 1 კგ ჩაუმქრალი კირი, ცალ-ცალკე გაიხსნას წყალში. კირის აღნიშნული რაოდენობის ჩასაქრობად საჭიროა 2,5 ლ წყალი, ხოლო რკინის ძაღას ვხსნით 1 ლიტრ წყალში. შესხურება უნდა მოხდეს მცენარეზე ყველა მხრიდან.

კვება ადრე გაზაფხულზე – საუკეთესოა ხის ძირის ირგვლივ მსუბუქი ჩათოხვნით, ბიოჰუმუსი თითო მცენარეზე 200-250 გრამი, ბიომიქსი 200 გრამი, ცხოველური ნაკელი 5-6 კგ, კომპოსტი და სხვა.

წამლობა – ასევე აუცილებელია ხეხილზე მავნებლობის მოზამთრე სტადიაზე შესასხურებლად 0.5 ლიტრი ნიმის ზეთი +100 ლიტრი წყალი(ორჯერადად ერთი კვირის ინტერვალით).

ჯანმრთელობა

ზამთარი-გაზაფხული და ბავშვების ჯანმრთელობა

თებერვალი და მარტი, ისევე, როგორც ზამთრის ყველა სხვა თვე, გრიპის გავრცელების ყველაზე აქტიური პერიოდია. გრიპი კი, მოგეხსენებათ, მწვავე რესპირატორული დაავადება, მწვავე თვითლიმიტირებადი ინფექციაა, რომელიც შესაძლებელია მიმდინარეობდეს მსუბუქად, მაგრამ არის შემთხვევები, როცა შეიძლება გართულდეს და ამ გართულებამ სხვა დაავადებებიც გამოიწვიოს. იწურება ზამთარი. გაზაფხული მალე კარს შემოგვიხსნის, იმედით ველით მის მოსვლას, მაგრამ, ამასთან, მზად უნდა ვიყოთ იმ დაავადებებთან სერიოზული მიდგომისათვის, რომელიც გრიპს მოჰყვება.

– შემოდგომა-ზამთრის სეზონი არც თუ მშვიდი პერიოდი იყო და არის „ჯეოჰოსპიტალსის“ საგარეჯოს მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის (დირექტორი სულხან სამხარაძე) პედიატრიული მიმართულების პედიატრებისა და ექთნებისათვის, მათი თანაშემწეებისათვის, რადგან გრიპით დაავადებული ბავშვების რიცხვმა იანვარ-თებერვალში საკმაოდ დიდ მაჩვენებელს მიაღწია. ამიტომაც გადავწყვიტეთ, ინტერვიუ ჩაგვეწერა პედიატრიული მიმართულების ხელმძღვანელ **ექიმ-პედიატრ მარინა ილაურთან.**

– ქნო მარინა, არ ახალია, ვიცით, რომ გრიპი მწვავე რესპირატორული დაავადებაა და სეზონურობა ახასიათებს, ამასთან, ზამთრის მილევისას განსაკუთრებით მწვავდება ის გაზაფხულის თვეებში, გვითხარით, რა სიმპტომები ახასიათებს გრიპს?

– დიახ, მოგეხსენებათ გრიპი მწვავე რესპირატორული დაავადებაა, ზოგადად მწვავე, თვითლიმიტირებადი ინფექციაა, თუმცა ის შეიძლება მიმდინარეობდეს მძიმედაც და მოჰყვეს სხვადასხვა დაავადებებიც. მითია იმის თქმა, რომ ბავშვი გაციებულია, არაფერი სჭირს, ჰგონიათ ასე, საგანგაშო, გადამდები არაა და რატომ? სიმპტომით გრიპი ჰგავს გაციებას, რომელიც რეალურად, ასევე მწვავე რესპირატორული ინფექციაა და შესაბამისად არის გადამდებიც.

მოგეხსენებათ, გრიპს ახასიათებს სეზონურობა და მისთვის დეკემბრიდან მარტის ბოლომდე ყველაზე აქტიური პერიოდია.

გრიპის ვირუსის გაურთულებელი ინფექცია შეიძლება მიმდინარეობდეს კლასიკური სიმპტომებით, რაც არის ცხელება (რაც შეიძლება არც იყოს), თავის ტკივილი, კუნთების და სახსრების ტკივილი და სისუსტე, რომელსაც თან ახლავს სასუნთქი გზების დაავადებების გამოვლინებები, როგორიცაა ხველა, ყელის ტკივილი და რინიტი, ცხვირიდან გამონადენი, ამასთან გეტყვით იმასაც, რომ ეს სიმპტომები შეიძლება ნაკლებად მძიმე იყოს გრიპის ვირუსზე წინასწარ ვაქცინირებულ ბავშვებში, მაგრამ ვთქვათ ისიც, რომ მცირეწლოვან ბავშვებში ზოგჯერ ნაკლებადაა გამოხატული რესპირატორული გამოვლინებები და მეტად გვხვდება ჩივილები კუჭ-ნაწლავის მხრივ, როგორიცაა გულისრევა, ღებინება, დიარეა, ცუდი მადა...

– როგორ ხდება გრიპის გავრცელება?

– გრიპის ვირუსი საერთოდ ჰაერ-წვეთოვანი გზით ვრცელდება. ეს ნიშნავს, რომ საუბრის ან ხველების დროს შეიძლება მოხდეს ახლოს მყოფი ჯანმრთელი ადამიანის დაინფიცირება. ისიც შესაძლებელია, რომ ვირუსი მოხვდეს სხვადასხვა საგნის ზედაპირზე, რომელზეც ჯანმრთელი ადამიანი ხელით კონტაქტის შედეგადაც შეიძლება დაინფიცირდეს. სწორედ ამიტომ დაავადების თავიდან ასაცილებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადეკვატურ ჰიგიენას, ხელების ხშირ დაბანასა და გრიპით დაავადებული ადამიანისგან დისტანცირებას.

– რას გვეტყვით, როდის არის გრიპით ინფიცირებული ადამიანისგან გრიპი გადამდები, გრიპის დაწყებიდან პირველივე დღეს თუ საერთოდ, დაავადების მთელ დროს?

– გრიპით ინფიცირებული პაციენტები გადამდებები არიან ძირითადად დაავადების დაწყებიდან პირველი 3-4 დღის განმავლობაში; ზოგი გადამდებია ასევე სიმპტომების დაწყებამდე 1 დღით ადრეც და ასევე სიმპტომების დაწყებიდან მე-5-7 დღესაც; ბავშვები და ზოგჯერ დაქვეითებული იმუნური სისტემის მქონე პაციენტები გადამდებები არიან უფრო მეტ ხანს;

– გრიპით დაავადებულმა როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო დაწესებულებას?

– თუ ბავშვი არ იღებს სითხეებს საჭირო რაოდენობით, შესაბამისად შეამცირებს შარდვას (რაც უკვე დეჰიდრატაციის ნიშნად ითვლება), არის მივარდნილი, მაღალი ტემპერატურა, დამწვე მედიკამენტებს არ ემორჩილება, უჭირს სუნთქვა, ხველა არის შეტევითი, მაშინ რეკომენდებულია ბავშვის გადაყვანა შესაბამის კლინიკაში. აქვე გირჩევთ, რომ ბავშვებში პირველივე სიმპტომების გაჩენისთანავე მნიშვნელოვანია პირად პედიატრთან ამბულატორიულ პირობებში კონტაქტი და სიმპტომების მისი მეთვალყურეობის ქვეშ მართვა, რაც თავიდან აგვაცილებს შემდგომ გართულებებს.

– როგორ ხდება გრიპის მკურნალობა? რა უნდა გავითვალისწინოთ დაავადებული ბავშვის სახლში მკურნალობის დროს?

– გრიპის მკურნალობის დროს, მთავარია გვახსოვდეს და განვასხვავოთ, რომ ვირუსზე ანტიბიოტიკი არ მოქმედებს, ანტიბიოტიკი გამოიყენება მხოლოდ ბაქტერიული ინფექციების სამკურნალოდ. გრიპი კი ვირუსული ინფექციაა და არა - ბაქტერიული. გრიპის დროს სახლის პირობებში სამკურნალოდ რეკომენდებულია სიმპტომური საშუალებები: სითხეებით დატვირთვა ანუ მიღება ხშირად და მცირე ულუფებად მთელი დღის მანძილზე - იქნება ეს ელექტროლიტების ხსნარები თუ სხვა სითხეები, ცხელების მედიკამენტოზური მართვა მაგალითად, პარაცეტამოლი, იბუპროფენი და ფიზიკალური მეთოდებით. ანტივირუსული პრეპარატების მიღება უნდა მოხდეს სპეციფიკურ შემთხვევებში და ის აუცილებლად პედიატრის მიერ უნდა იყოს დანიშნული. ბავშვმა ავადობის დროს შეიძლება არ მიიღოს საკვები, ან მიიღოს მცირე ულუფებით, ეს ბუნებრივიცაა ამ მდგომარეობაში. მთავარია მეტად სითხეების მიღება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ორგანიზმის გაუწყლოვნება. რაც შეეხება ინფუზიურ თერაპიას, ე.წ. გადასხმებს, ის არანაირად არაა საჭირო და არ ცვლის მდგომარეობას უკეთესობისკენ თუ ბავშვი ავადობის დროს ადეკვატურად იღებს სითხეებს.

– თქვენ ახლა ახსენეთ ფიზიკალური მეთოდები, აგვიხსენით, რას ნიშნავს ფიზიკალური გაგრილების მეთოდი ცხელების დროს? ზოგიერთი მშობელი ამ მეთოდს უარყოფს, მაგრამ როგორ უნდა გავაკეთოთ ეს?

– ფიზიკალური გაგრილება სხეულის მექანიკურად გაგრილებას გულისხმობს. ამ დროს ოთახის ტემპერატურის წყალში დასველებული საფენები უნდა დავადოთ ბავშვს, განსაკუთრებით სხეულის ჩახურების ადგილებში. ესენია: იღლიის, საზარდულის, კისრის მიდამოები. საფენი რამდენიმე წუთში გაშრება, რადგან სხეული ცხელია. შეგვიძლია იგივე მეორედაც გავიმეოროთ. ამ დროს ტემპერატურა აუცილებლად დაიწევს. ფიზიკალური გაგრილება სრულიად უსაფრთხო მეთოდია. ხშირად მშობლებს ეშინიათ, რომ ამ დროს ბავშვი არ „გაცივდეს“, არადა ბავშვი უკვე არის ვირუსით ინფიცირებული და აქვს ცხელებებიც.

– მაშ რა შემთხვევაში შეიძლება ჩავრთოთ პაციენტთან ანტიბიოტიკი?

– გრიპის გართულება შეიძლება მოხდეს როგორც ვირუსული, ისე ბაქტერიული ინფექციით. ანტიბიოტიკით მკურნალობა ინიშნება მხოლოდ ბაქტერიული გართულების დროს. ლაბორატორიული კვლევების და პაციენტის გასინჯვის საფუძველზე ვადგენთ არის თუ არა გართულება და არის თუ არა ის ბაქტერიული გენეზის, ამის შემდეგ წყდება მკურნალობაში დამატებით ანტიბიოტიკოთერაპიის ჩართვის საკითხი.

– ზოგიერთი მშობელი გვერდს უვლის პედიატრის რჩევებს და თვითნებურად აძლევს ბავშვს ანტიბიოტიკს, რა ხდება მაშინ, როდესაც პაციენტი არასაჭიროებისამებრ იღებს ანტიბიოტიკს?

– დიახ, გეთანხმებით. ხშირად მშობლები ფიქრობენ, რომ ანტიბიოტიკი გრიპის და ასევე სხვა დაავადებების გართულებების პრევენციაა და მას ექიმის დანიშნულების გარეშე აძლევენ თვითნებურად, რაც ყოვლად დაუშვებელია. აუცილებელია, კარგად დავიმახსოვროთ, ანტიბიოტიკი გართულებისგან ვერ დაგვიცავს და თუ გართულება გამოვლინდა ანტიბიოტიკის მიღების ფონზე, მაშინ დღის წესრიგში დგება მეორე რიგის ანტიბიოტიკების აუცილებლობა, რის გამოც იზრდება ანტიბიოტიკის მოხმარების ხანგრძლივობა, ამის გამო კი, შესაბამისად იზრდება გვერდითი მოვლენების განვითარების რისკიც და რაც ყველაზე მთავარია, არარაციონალურად გამოყენებულ ანტიბიოტიკებს უკვე ნელ-ნელა მივყავართ იქითკენ, რომ შეიძლება დადგეს დღე, როცა ჩვენს ხელთარსებული ანტიბიოტიკებს არ ჰქონდეთ ძალა იმოქმედონ ამა თუ იმ ბაქტერიების წინააღმდეგ.

– ყოფილა შემთხვევა, როცა მშობელი თვითნებურად გრიპის დროს სახლში უკეთებ ბავშვს გადასხმას. ეს რამდენად რეკომენდებულია?

– სრულიად არასწორია სახლში ასეთი მანიპულაციის ჩატარება. თუ პაციენტს ასეთი სახის მკურნალობა სჭირდება, მაშინ მან აუცილებლად უნდა მიმართოს სტაციონარს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ე.წ. „გადასხმის“ ერთადერთი მიზანი ორგანიზმის სითხით შევსებაა. თუ პაციენტი იღებს საჭირო რაოდენობის სითხეს, არ აქვს ხშირი ღებინება, დიარეა (ანუ არ კარგავს სითხეს), შარდვა არ არის შემცირებული, მაშინ გადასხმა საერთოდ არ არის საჭირო. ის არ შეამცირებს ვირუსის მიმდინარეობის დროს და ვერც „გაწმენდს“ ორგანიზმს ამ ვირუსისგან.

– ზოგიერთს მიაჩნია, რომ გრიპისგან განსხვავებით გაციება გადამდები არაა. რეალურად რა განსხვავებაა „გაციებასა“ და გრიპს შორის?

– კლინიკური თვალსაზრისით გრიპი უფრო მძიმედ მიმდინარე დაავადებაა. როგორც ზემოთაც გითხარით ის იწყება უცბად, შემცივნებით, კუნთების, სახსრების ტკივილით. გაციების დროს სიმპტომები უფრო სუსტია და კლინიკური სურათი ნელ-ნელა იშლება.

– როგორია თქვენი რეკომენდაციები გრიპის პრევენციის მიმართულებით?

– პირველივე სიმპტომების გამოჩენისთანავე უნდა მოხდეს, პაციენტის იზოლირება. მნიშვნელოვანია პირადი ჰიგიენა, ხველების და ცემინების დროს ხელის აფარება, ხელების ხშირი დაბანა, დეზინფექცია, ვირუსების გააქტიურების დროს, მნიშვნელოვანია თავის არიდება მასობრივი თავშეყრის ადგილებში ვიზიტებისგან. , რასაც მოჰყვება ათობით ადამიანის გადარჩენა, ვირუსის ბავშვებისათვის თავიდან აცილება. ზოგადი პრევენციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. საქართველოში არსებობს ვაქცინები და სასურველია ყველამ გაიკეთოს ის. უკეთესია, ვაქცინაცია შემოდგომის ბოლოს გაკეთდეს, თუმცა ახლაც აქვს აზრი. მისი იმუნიტეტი 2 კვირაში ყალიბდება.

–როდიდან მიიღება ბავშვებში იმუნიტეტის ასამაღლებელი მედიკამენტები?

– იმუნიტეტის ასამაღლებელი მედიკამენტები, მათი მიღება სხვა მხრივ ჯანმრთელ ბავშვებს აბსოლუტურად არ სჭირდებათ და არც არსებობს მათი ეფექტურობის დამადასტურებელი მაღალი დონის სარწმუნო ცნობები.

– რა ასაკიდან შეიძლება ბავშვის აცრა, ე.წ. გრიპის საწინააღმდეგო იმუნიზაცია?

– გრიპის საწინააღმდეგო იმუნიზაცია ნებადართულია 6 თვის ასაკიდან.

ოთხ წელიწადში ერთხელ ნამდვილი დაბადების დღე

***იშვიათად ამბობენ – დავიბადე ნაკიან წელიწადსო. ნაკიანია, როცა ზამთრის ბოლო თვე – თებერვალი მთავრდება 29-ით და არა 28-ით. დიახ, ნაკიან წელიწადში თებერვალი 29 დღე-ღამისაგან შედგება. მიუხედავად იმისა, რომ 29 თებერვალი 2000-ზე მეტი წლის წინ იმპერატორ იულიუს კეისრის ბრძანებით შემოიღეს, დღემდე ნაკიან წელს ბევრი ცრურწმენა და ლეგენდა უკავშირდება. მაგალითად, შოტლანდიელებს ახლაც სჯერათ, რომ 29 თებერვალს ცოტა საშიშია ახალი საქმის წამოწყება, საბერძნეთში ნაკიან წელს ქორწინებისაგან თავს იკავებენ. მაგრამ ეს სულაც არაა ასე. სინამდვილეში ნაკიანი წელიწადი ასტრონომიურ მოვლენებს უკავშირდება. მზის გარშემო ბრუნვის პერიოდი 365 დღეს შეადგენს. გრეგორიანულ კალენდარში სულ 365 დღეა, ამის გამო, ყოველ წელს გროვდება საათები, რომლებიც კალენდარში ვერ მოხვდა. 4 წელიწადში ერთხელ ეს „ზედმეტი“ საათები ერთად იყრის თავს. კალენდარსა და წლის სეზონებს შორის სხვაობის აღკვეთის მიზნით, ყოველ მეოთხე წლის თებერვალს დამატებითი დღე – 29 თებერვალი ემატება. დიახ, ნაკიანად ითვლება ის წელიწადი, რომელიც იყოფა 4-ზე. გარდა იმ წლებისა, რომელთა ნომერი დაბოლოებული ორი ნულით, უნაშთოდ არ იყოფა 400-ზე. ასე, მაგალითად: – 1800, 1900, 2100...*

ხოდა, ზამთრის ბოლო დღეს დაბადებულები სამი წლის განმავლობაში დაბადების დღეს – გაზაფხულის პირველ დღეს აღნიშნავენ. საკუთარი დაბადების დღე ყველას განსაკუთრებულად უყვარს, განსაკუთრებულად ელის და სიხარულით აღნიშნავს. ამ ერთი დღის სილამაზე მთელი წელიწადი მიჰყვება ადამიანს.

როგორც ასტროლოგები ამბობენ: ამ დღეს დაბადებულები ძლიერი ინტუიციით გამოირჩევიან, მათ აქვთ უნარი, საოცარი რჩევა მისცენ სხვებს, ამიტომ, თუკი ამ დღეს დაბადებულმა ოდესმე რამე გირჩიათ, დაუჯერეთ, ის თქვენთვის სასიკეთო იქნება. თუმცა მათ არ იციან, საიდან აქვთ ეს უნარი.

– როცა 28 თებერვალი დასრულდება და ღამის 12 საათს გადასცდება, პირველ წუთებზე უნდა ადღეგრძელოთ ეს ადამიანი. ამ დროს წარმოთქმულ სადღეგრძელოს საოცარი ძალა აქვს, იუბილარებზე დიდ ზეგავლენას ახდენს. მათ უნდა ჩაიცვან კრემისფერი, თეთრი, ნაცრისფერი სამოსი. მათი ქვებია: აქატი, ნეფრიტი, მარგალიტი. მათ დიდი დრო უნდა დაუთმონ ფულის შოვნას, რადგანაც ეს საქმე კარგად გამოსდით. საოცრად უყვართ ქველმოქმედება, ამიტომ სიფრთხილე და წინდახედულება მართებთ, რადგანაც შესაძლებელია, ქველმოქმედებამ ისინი გააკოტროს, ნულზე დასვას. იმის გამო, ემოციურობა ახასიათებთ, შესაძლოა ნერვიული გადაძაბვა დაემართოთ, რისთვისაც საჭირო ა ხშირი განტვირთვა და დასვენება. მათთვის დიეტის დაცვაც სასარგებლო იქნება. დაავადებებიდან მეტად აწუხებთ რევმატიული და ფეხის ტერფის დაავადებები, ასევე მათი სუსტი წერტილებია თვალები და ხერხემალი, აქვთ საოცარი იმპროვიზაციისა და ფანტაზიის უნარიც, ხშირად ოცნებას რეალობად აქცევენ ხოლმე.

საგარეჯოშიც გვყოლია ნაკიან წელს – 29 თებერვალს დაბადებულ;ი ადამიანები, რომლებსაც 4 წელიწადში ერთხელ უხდებათ „ნამდვილი“ დაბადების დღის აღნიშვნა.

როცა დაბადების თარიღს გიცვლიან...

2024 წლის 29 თებერვალს 86 წელი უსრულდება საგარეჯოში, ე.წ. რკინიგზის სადგურის დასახლებაში (ეს პატარა საგარეჯო ოდითგანვე ხომ დასახლებებად და უბნებადაა დაყოფილი) მცხოვრებ ქალბატონს ცირა ლაფერიშვილ-ქვრივიშვილს. დაიბადა, დაბადების ადგილად სოფელი პა-

დასასრული მე-6 გვერდზე

ლევან თედიაშვილი

ჩვენი კარბი ლევანა!

(სხვადასხვა გაზეთებიდან)

„მსოფლიო თასის გათამაშების შემდეგ, სან-დიეგოში საბჭოთა და ამერიკელ მოჭიდავ-

ეთა ამხანაგური შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის დაწყებამდე ცირკიდან 120 კილოგრამიანი დათვი მაიყვანეს და სოსლან ანდიევს ცხვირწინ დაუსკუპეს. იმან კიდენა ცივი უარი დაარტყა. გუნდის კაპიტანი და კომსორგი ვარ და არ შეიძლებაო. მე შვილოსა, 12 წელი ვიყავი საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი, ავდექი და ვუთხარი: საბჭოთა კავშირს არცხვენ-მეთქი? ჩავიცვი ფორმა და ხალიჩაზე გავედი. დავეჭიდე დათვსა და სამი ქულით მოვუგე. დათვი რო გაბრაზდებოდა, მაგის "ტრენერს" ამოვეფარებოდი, შაქარს შეჭამდა, დამშვიდდებოდა და ვეძგერებოდი. დასამახსოვრებელი ორთაბრძოლა იყო ნამდვილად, მაგრამა, ამის მერე იმ ამერიკელმა, ჩემთან რო უნდა ეჭიდავა, ბრძოლაზე უარი განაცხადა.

დათვთან დაჭიდებას განსაკუთრებულ რეკორდად არ ვთვლი, ჩემთვის სახალისო იყო იმაითან ფალავნობა...

– ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარეობის დროს ფალავნობა ჩავატარე. პირველ ადგილზე გასული მანქანით დავალჯიდოე, მეორე გამარჯვებული - ცხენით, მესამე - ვირით. ედუარდ შევარდნაძემ კაბინეტში დამიბარა: სირცხვილია, ცხენი კიდე შეიძლება, ვირს თავი დაანებეო. ამბროსოვიჩ, კახელი კაცი ვარ და ვირს იმჯს ვუწევ-მეთქი, უკან არ დავიხიე. იესო იჯდა ვირზე და ვითომ, რა სირცხვილი იყო ვირის ჩუქება?! იგეთი ლამაზი თვალები აქ ვირსაა...

– ჭიდაობაში ორი რეკორდი ნაღდად მაქვს დამყარებული, ოღონდ ჭიდაობაში ოფიციალურად არავინ აკეთებს რეკორდების აღრიცხვიანობას.

– სოსლან ანდიევი ახსენეთ. ის ხომ ვლადიკავკაზიდან არის, გაქვთ მასთან ურთიერთობა?

– მა რაა, ვლადიკავკაზელი ოსია, ჯიგრიანი ბიჭი. აგვისტოში რო ომი და უბედურება ატყდა, დამირეკა. ვინ წარმაიდგენს, რო სოსლანამ იმათ მაგივრად ბოდიში მომიხადა? მოჰკიდე შენს ოჯახს ხელი და ახლავე ჩემთან წამოდიო... მე რას მებოდიშები, ან შენ ვინა გკითხამს ამ ომსა და ან მე-მეთქი, ერთმანეთს ვაწყნარებდით.

– პირველად მსოფლიო ჩემპიონი რომ გავხდი, შეხვედრებს გვიწყობდნენ, ცხინვალშიც მიგვიპატიჟეს. ბიჯოო, ამიტყდნენ, შენაო, ოსი ხაარო. ერთი ადგა და მეუბნება: გენაცვალე, შენ თედეევი ხარ! წადი შენი-მეთქი და სცენიდან ჩამოვედი. ვახტანგ ბალავაძე, უდიდესი პედაგოგი, ნაღდი ინტელიგენტი წამოდგა და იმან გააგრძელა სიტყვა. ის კაცი ისევ წამოიჭრა: შენა კიდევა, ბალაევი ხაარ! ახლა მე წამოვხტი: ბალღო, მე მგონია, რომა თქვენ იყავით თედიაშვილები და გვარი სწორედ თქვენ გადაიკეთეთ. თედეევი კი გყავთ, მაგრამა მე საგარეჯოელი თედიაშვილი ვარ და თუ მაგნაირებ კიდე წამააყრანტალებ, ყარფუხივით დაგახეთქებ ძირსა-მეთქი. ჩემი გვარი, როგორც გავიგე, ბორჯომის რაიონშია სოფელი მზეთამზე, იქიდან მოდის, ოღონდ რა ვქნა, მე კახეთში დაბადებულ-გაზრდილი ვარ და ვამაყობ ჩემი კახელობით, საგარეჯო - მიხაკო, რაა! ახლა, მამაჩემს რა სახელი ერქვა? - ქიტესა. თედიაანთ ლევანა ვიყავ, ვარ და ვიქნები.

– ერთადერთი ქართველი ვარ, ვისაც ირანელებმა ოქროს ორდენი მომცეს.

– ირანთან დაკავშირებით ერთ ამბავს მოგიყვებით. შაჰის სახელობის ტურნირზე გამოსასვლელად ვემზადები. მორბენალი სპორტსმენი ქალი იყო, ხნიკინა, იმისი ქმარი მოვიდა და მითხრა: ათი წელი რო ვიმუშაო ამდენ ფულს ვერ ავიღებ, დიდ ფულს გთავაზობენ, ირანელს ხო უნდა შეხვდე, მოეხსენი, ის გახდეს ჩემპიონიო. გავაღე ჩემოდანი, ათი ათასდოლარიანი 70 "პაჩკა" დავითვალე. ცოტაა - მეთქი (არადა ამოდენა ფული სიზმარშიც არ ამინახავს, პაპაჩემმა დამიტოვა მუთაქებში, თუ რა!) რამდენი გინდაო? მილიონი-მეთქი. რად გინდაო? შენ წადი, დაამატებინე და მერე მე ვიცი-მეთქი. უცბად აორთქლდა ხნიკინას ქართველი ქმარი. სანამ იმან ირბინა, ირანელი ხალიჩას გავაკარი. მილიონით რო მოვიდნენ, ვუთხარი: დააგვიანეთ, გამამიძახეს ხალიჩაზე და რა უნდა მექნა, "სდელკა" ვერ შედგა, კახელი ვარ, დურაკი კი არა, მაგისთანებზე ვირის აბანოში აგზავნიან - მეთქი, მოვახსენე შუამავალს. ბიჯოო, მოსყიდვა კი არა, ჩემი სახელობის საჭიდაო სკოლა რო მაქვს, იმათ არ მივეცი ტურნირის ჩატარების უფლება და ჩავშალე. არ მესმის ცოცხალი ადამიანის სახელობის ტურნირი რატო უნდა ჩაატარონ? რო დავერიე მწვრთნელებს... მერე მხოლოდ ბავშვებში ჩატარების უფლება მივეცი და არამც და არამც დიდებში. როცა მოვკვდები, "პაჟალუსტა", მერე ჩაატარონ. "ვისკაჩკა" არასოდეს ვყოფილვარ.

– ყველამ იცის, მესამე ოლიმპიადაზე რო ვაპირებდი გამოსვლას და რა თქმა უნდა, გამარჯვებას, მაგრამ უსამართლოდ მომექცნენ. ვამბობდი: რუსი არ ვარ და არ გამიშვებენ-მეთქი.

მართალი ვიყავი, იმიტომა, რომა რა აღარ გააკეთეს, ოღონდაც კი არ წავსულიყავი. სამ წონაში ოლიმპიადა ქართველს რო მოეგო, არ აწყობდათ. რუსებს მედვედი ჰყავდათ გასაგზავნი და თედიაშვილს რა თავში იხლიდნენ? კონკრეტულად ჩემზე კი არ ჰქონდათ გართულება, ქართული გვარის მქონე ნებისმიერი სპორტსმენი ამ ბედს გაიზიარებდა. დღეს უკვე სხვა დროა. შემიძლია ვთქვა, რომ წარმატებულად ჩაიარა ამ ოლიმპიადამ. მეტი ოქრო სჯობდა, მაგრამა სამი ოქროც ცუდი არ არის, ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ. აი, გოგშელიძე კი ნაღდად შემეცოდა. თუ დამიჯერებენ, ვიტყვი: რაც უნდა მოხდეს, თავი მაინც უნდა შეიკავოს სპორტსმენმა. მონრეალში ოლიმპიადაზე მქონდა ერთი შეხვედრა, მსაჯი ასი ათას დოლარად ჰყავდათ ნაყიდი, წესების დარღვევა უნდოდა ჩემთვის აეკიდა, მაგრამა ჩაახედეს წესებში, ამით "დავთხარე" თვალები. იმ მსაჯმა ხალიჩაზე რო ვერაფერი მამიხერხა (არ ეთმობოდა ასი ათასი), "სვისტოკი" ჩამარტყა თავში, მე კიდენა გავუცინე. იმ წუთში ხო გავუცინე, მემრე იმას მოხვდაა... ჩვენს საქმეში ყველაზე რთულია, სანამ ლეიბზე გახვალ, ესე იგი "სმერტნი კამერაა" ეს პერიოდი, აი, ხალიჩაზე უნდა განსაზღვრო სხვა ყველაფერი: მოჭიდავეს ოფლი რო შეაშრება, გადამწვარი "ლამფუჩკა" ხარ. იყავ თუ გინდა ეგრე გადამწვარი, რა"...

მოგონებები ლევანზე

...ერთხელ წლის მიწურულს რჩეულ სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიისას სცენაზე ორგზის ოლიმპიურ და ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონ **ლევან თედიაშვილს** უხმეს...

მიკროფონთნ მისული ბეჭდაუდები ფალავანი დარბაზს მიუბრუნდა:

ხომ გაიგონეთ, ხალხო, ქართული სპორტის ლეგენდა ლევან თედიაშვილიო!

პაუზა...

- მართლა ვარ, ხალხო, ლეგენდა?! დარბაზიდან ერთხმად – დიახ, დიახ!

- ჰოდა, თქვე დალოცვილებო, რას მერჩოდით ამ ლეგენდა-კაცს! დიღომში ჭიდაობის სასახლე მოვაწყვე, შეჯიბრებებს ვმართავდი, მედალოსნებს ფულადი პრიზებით ვაჯილდოვებდი. თქვენ კი აიღეთ და ეს დარბაზი წამართვით, ძიუდოს გადაეცით და ოლიმპიური ჩემპიონის - შოთა ჩოჩიშვილის სახელი მიაკუთვნეთ. რას მერჩოდით, თუკი ლეგენდა ვარ?! უხერხული სიჩუმე დარბაზში.

- ახლა მეუბნებიან, ძიუდოისტებს ჩამოვართმევთ, მოჭიდავეებს გადავცემთ და ისევ შენს სახელს მივაკუთნებთო. ჩოჩიშვილი ჩემი ნათლული იყო, ხალხო, ბოდბეში წმინდა ნინოს ტაძარში მოვნათლე. რამდენიმე წლის წინათ ჩემს ნათლულს მიაქარინეს, ახლა მე უნდა მიმაქარინოთ?! დარბაზი უხერხულად შეიშმუშნა, მერე ერთხმად იქუხა ტაშმა...

მთელი ცხოვრება ასე ბრძოლაში გალია: ხალიჩაზე ვეფხვივით აეტოტებოდა მეტოქეებს, ზოგს მის მიღმა არ უთმობდა გოჯს. ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა და მქუხარე ოვაციებსაც იმსახურებდა. ის ლეგენდაა... ქართული სპორტის ლეგენდა.

რამდენი გადაიხადე?

იმ დღესაც სასპორტის სასახლის თაღებქვეშ გუგუნებდა ტრიბუნები. თბილისი თავისუფალ ჭიდაობაში საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობდა. ხალიჩის ცენტრში მეტოქეს შეჭიდებული ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლევან თედიაშვილი იდგა. ქომაგები ხმის ჩახლეჩამდე უყვიროდნენ ქართველ ფალავანს - ცოტა ხანს ნუ წააქცევ, ბიჭო, ეჭიდავე... გვაყურებინე... ლევანმა კი რამდენიმე წამში მოუმთავრა მეტოქეებს საქმე. საგარეჯოში ჩასულს მეზობლის ბიჭმა უსაყვედურა - ეგ რა ქენი, ჭიდაობა რატომ არ გვაჩვენეო.

- ბილეთში რამდენი გადაიხადე? - მოულოდნელად ჰკითხა ჩემპიონმა. როგორც სხვებმა, მანეთიო, უპასუხა.

- ჰოდა, რაც გადაიხადე, გენაცვალე, მეც იმისა ვიჭიდავე, - უთხრა დიმილით ლევანმა.

მეზობლის ბიჭი თედიაშვილის მამას მიუბრუნდა: "ჩემო ქიტეს, შენთვინ ი გიტლერის ბომბსა თითები კი არა, სხვა რამე უნდა წეეწყვიტა, ეს არგასაზრდელი რო არ გაგეკეთებინა"...

* * *

ქიტესა თედიაშვილი მეორე მსოფლიო ომისას ქერჩში დაიჭრა მძიმედ. ჰოსპიტალში გაიცნო მომვლელი რუსის გოგონა შურა ბალანდინა, რომელიც ომის შემდეგ საქართველოში მოიწვია და მასზე დაქორწინდა. 1948 წელს ლევანი შეეძინათ. მომავალმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჭიდაობა სოფელში ისწავლა ნახერხმყრილ სარბიელზე.

14 წლის იყო, საგარეჯოელმა მწვრთნელმა ვალერიან მეკოკიშვილმა რომ მიაქცია ყურადღება და ლევანიც მასთან ჭიდაობის სექციაში ჩაეწერა. კაკაბეთში ერთ-ერთი შეჯიბრებისას არსენ მეკოკიშვილმა ვახტანგ ბალავაძეს უთხრა, ერთი იმ ბალღის ორთაბრძოლებს დააკვირდიო. "ჭიდაობის პროფესორიც" დააკვირდა, მოეწონა და ნიჭიერი ყმაწვილი თბილისში წამოიყვანა, თავისთან დააბინავა და საერთაშორისო სარბიელზე გზის გაკვალვაშიც დაეხმარა.

შეგირდმაც არ დააღალატა ოსტატი - რამდენიმე მნიშვნელოვანი შეჯიბრება მოიგო ახალგაზრდებში. და მაინც, პირველი დიდი სერიოზული გამოცდა 1971 წელს თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ჩააბარა - ერთი ამოსუნთქვით სძლია ყველა მეტოქეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

იმავე წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა მე-5 სპარტაკიადის ფინალში სახელოვან მახაჩყალელ ფალავანს, მსოფლიოს და ევროპის სამგზის ჩემპიონ იური შახმურადოვს შეხვდა. მაშინდელი "სოვეტსკი სპორტი" წერდა: მსოფლიოში მოჭიდავე არ მოიძებნება, შახმურადოვს ხალიჩაზე ბეჭი დაადებინოსო.

"შახის" მუდმივი მეტოქე გურამ სადარაძე გახლდათ, ჩვენი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი. დიდი სარბიელიდან მისი წასვლის შემდეგ ჩრდილოკავკასიელმა იფიქრა, მეშველაო, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო: სპარტაკიადის ფინალში მის პირისპირ დადგა 23 წლის საგარეჯოელი ჭაბუკი, რომელიც მეტოქეს თვალებში უყურებდა და იღიმოდა.

სახელოვანი მწვრთნელი გურამ თიკანაძე იგონებს: "როცა მსაჯებმა თედიაშვილი და შახმურადოვი ხალიჩაზე გამოიძახეს, ლევანის სეკუნდანტობა მე ვიკისრე. დავარიგე - ტემპში იჭიდავე, თამამად შეუტიე, მეტოქის იერიშს არ დაელოდო-მეთქი. თავიდან ინიციატივა ხელთ იგდო და ორი ქულაც მალევე აართვა. ახლა მოპოვებულის შენარჩუნება იყო საჭირო, ამიტომ შესვენებისას შევაქე და ვუთხარი - კარგია, ისევ მაგ ტემპში განაგრძე და, რაც მთავარია, ღიმილი არ დაგავიწყდეს-მეთქი".

მაგ ღიმილმა მოუღო ბოლო შახმურადოვს. საერთოდაც, საერთაშორისო სარბიელზე გამართული 600-ზე მეტი ორთაბრძოლიდან, ლევან თედიაშვილს არც ერთი პაექრობისას სახიდან ღიმილი არ წაშლია.

* * *

- **რკინის** ნერვების პატრონი იყო! - იხსენებს ვახტანგ ბალავაძე. - მიუნხენის ოლიმპიური თამაშების მეოთხე წრეში ამერიკელ პეტერსონს უნდა შეხვედროდა. მთელი ღამე არ დამიძინია, ასპარეზობის დღესაც ვნერვიულობდი, სხვებიც ვერ პოულობდნენ ადგილს. მოდის ლევანი და მეკითხება - ხალიჩაზე გასვლამდე რამდენი წუთი დარჩაო.

- საათს დავხედე - ერთი საათი-მეთქი.

- წავუძინებო!

- რას იზამ-მეთქი?

- წავუძინებო!

- ალბათ, ხუმრობს, გავიფიქრე. ის კი მიტრიალდა და წავიდა.

- გადამრევს ეს კაცი! - ვფიქრობ. ვიწრიალე, ვიწრიალე, ვერ მოვისვენე... მაინც სად წავიდა? აბა, იმას როგორ წარმოვიდგენდი, რომ გადამწყვეტ შეხვედრამდე ერთი საათით ადრე დაძინებას შეძლებდა.

წავედი და ვნახე...

ღმერთო, შენ მიშველე!

სძინავს! წარმოგიდგენიათ? იმისი ხვრინვა შორიდან მესმის...

შეხვედრის დაწყებამდე 15 წუთი დარჩა.

- ადე, ბიჭო! - ვაღვიძებ.

- სიზმარში რო ჟირაფს ნახავ, რას ნიშნავს? - მეკითხება...

სძლია პეტერსონს, 12 ქულის სხვაობით.

1973 წელს ლევან თედიაშვილმა 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ამერიკაში მსოფლიო თასი მოიგო, ალმა-ატაში - საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, მერე მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი გახდა. მიღწევები თეირანში დააგვირგვინა: "ფარახის" სტადიონზე ყველა მეტოქე დაამარცხა, მათ შორის - მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი ბენ პეტრსონი და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

იმ დღეებში ირანის დედაქალაქში სამბისტებიც ჩავიდნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ნაკრების წევრი გენადი რუხლიადევი საბჭოთა უშიშროებამ თვითმფრინავის ტრაპი-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ოთხ წელიწადში ერთხელ ნამდვილი დაბადების დღე

დასასრული

როცა დაბადების თარიღს გიცვლიან...

ტარძული, ხოლო დაბადების თარიღად 1938 წლის 31 თებერვალი ჩაუწერეს. ხოდაა, იარა ამ დაბადების თარიღით, სკოლაც ასე დაამთავრა, ქორწინებაშიც ასე დარეგისტრირდა და სამსახურშიც. პენსია დაენიშნა და პენსიის დანიშვნიდან რამდენიმე თვეში მოუხსნეს – შენაო, ისეთ დროს ხარ დაბადებული, არც ერთ ქვეყანაში და არც ერთ კონტინენტზე ასეთი თარიღი არ არსებობსო. აქეთ ირბინეს, იქით ირბინეს და მოწმეებით დაადასტურეს, რომ ნაკიან წელს იყო დაბადებული...

ან ვინ დაივიწყებდა მისი დაბადების რიცხვსა და თვეს, ოჯახში პირველი შვილიშვილი იყო, თანაც, უკვე მარტოხელა დედისათვის რაღაცნაირად შემწედ და მომავლის იმედად. დედა ბავშვობიდან, პატარაობიდანვე ასწავლიდა შრომას. დიახ, ბავშვობისას ისწავლა კერვა, წინდების ქსოვა, საოჯახო საქმიანობა, იმიტომაც არ უჭირდა შემდეგ ოჯახის გაძღოლა, ორი შვილის – დათოსა და ალექსანდრეს გაზრდა, პარალელურად ჯერ საგარეჯოს საკონსერვო ქარხანაში დაიწყო მუშაობა, შემდეგ საგარეჯოს მატყლის გადამამუშავებელ ფაბრიკაში. ისე, 16 წლისამ 1955 წელს სიყვარულით შექმნა ოჯახი საგარეჯოელ სურენა ქვრივიშვილთან. ახლაც, რაღაცნაირი სიამაყითა და სევდანარევი მოგონებით ამბობს – 7 წელი გვიყვარდა ერთმანეთი, რომანტიული და საოცარი სიყვარულითო. დღეს მისი მეუღლე მის გვერდით აღარაა, ამიტომაც უამრავ საინტერესო ამბებს უყვება თავის შვილთაშვილს – 7 წლის ალექსანდრეს, ცნობისმოყვარე თვალებითაც და სიამაყითაც რომ უსმენს დიდი პაპის ვაჟკაცობის, კარგი ადამიანობის საქმეებს.

დღეს ქ-ნ ცირას ორი ვაჟი, 4 შვილიშვილი და 7 შვილთაშვილი ჰყავს. მოცალეობის ჟამს ისევ ქსოვს, ან სულაც ბალიშისპირებს კერავს, უფრო ხშირად ახლა შვილთაშვილებთან საუბრობს, ამ ორიოდე წლის წინ ფეხი დაიზიანა და ოპერაციებიც დასჭირდა...

დაბადების დღეების აღნიშვნა?! ისევე, როგორც ყველა ნაკიან წელს დაბადებულს, ქ-ნ ცირასაც ოთხ წელიწადში ერთხელ ემატება ერთი წელი... ეს ხუმრობით... ისე, 80 წლის როცა შესრულდა, მართალია, ნაკიანი წელი არ იყო, მაგრამ მართლაც დიდი, ფართო დაბადების დღე გადაუხადეს სახლში, მთელი ნათესაობა დაპატიჟეს და ამ დღის სიხარული ალბათ წლობით გამყვებაო, – სიამაყით, გაცისკროვნებული სახით გეტყვით... ისე, ჩვენი ანგარიშით კი ქ-ნი ცირა 21 ,5 წლის შესრულდება წლევანდელ 29 თებერვალს.

ვულოცავთ, ჯანმრთელობას ვუსურვებთ და კიდევაც მრავალ წელს აღენიშნოს „ნამდვილი დაბადების“ დღე.

სოფო დარბაისელი

სოფო საგარეჯოში დაიბადა – ნათია არაბულისა და გივი (გიორგი) დარბაისელის ოჯახში. სამი ძმიდან, ერთ-ერთი – მამის ძმა – დათო მის დაბადებას ელოდებოდა რაღაც აუხსნელი მოლოდინით. ოჯახში პირველი შვილიშვილი შემოდიოდა და ამ უმცროს ბიძას – დათოს (საგარეჯოელების საყვარელ ხვიმირას) მაინცდამაინც უნდოდა გოგონა დაბადებულიყო და სამი ვაჟის გამზრდელი დედის სახელი პირველ შვილიშვილს გაემზიანებინა. და მოლოდინიც აუსრულდა და 1996 წლის 29 თებერვალს ქვეყანას მისი სასურველი ძმისშვილი – სოფო მოევლინა, რომელიც დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე უკვე ბებიის სახელს ატარებდა. ამ ამბავს სოფო რედაქციაში ისეთი გაცისკროვნებული თვალებით მიყვება, ისე თბილად და ტკბილად იხსენებს ბიძას, რომ აშკარაა, მათ შორის „მეგობრულ-ძმაკაცური“ ურთიერთობაა. მათ მეგობრულ ურთიერთობას ხელს ისიც უწყობს, რომ სოფო იმავე ქუჩაზე ცხოვრობს მეუღლესთან და 7 წლის გიორგისთან ერთად – აზარიაშვილთა თბილ კერაზე აგრძელებს ცხოვრებას.

სოფო 29 თებერვალს ხომ დაიბადა, სამშობიაროში დედას შესთავაზეს, დაბადების მოწმობაში 28 თებერვალს ჩავწერთო, მაგრამ დედას უარი უთქვამს – მე ჩემს შვილს დაბადების თარიღი როგორ დავუკარგოო და ასე აღმოჩნდა სოფოს დაბადების დღე ოთხ წელიწადში ერთხელ ნამდვილი და დანარჩენ სამ წელიწადში კითხვის ნიშნის ქვეშ – როდის მიულოცონ, აღარ იციან. სოფოს კი სულაც არ ანაღვლებს უნაკიანო წლები – ორ დღეს გრძელდება ჩემი დაბადების დღე, 28 თებერვალს იწყება 1 მარტით მთავრდება, – მეუბნება სოფო ღიმილით, – ოჯახის წევრებიც მიეჩვიენენ და მეგობრებიც, თუ 28-ში არ სცალია რომელიმეს, 1 მარტი ხომ წინაა.

– სოფო, როგორ მიულოცავდი თებერვლის 29-ში დაბადებულებს დაბადების დღეს? – ვეკითხები.

– ყველას ვულოცავ 29 თებერვალს დაბადებულებს დაბადების დღეს. ეს დღე განსაკუთრებულია მათთვისაც. მერე რა, რომ 4 წელიწადში მოდის ეს ჩვენი „ნამდვილი დაბადების დღე“, სამაგიეროდ, სხვა დროს, დღეები გრძელდება და ნახეთ, ვინც არ იცის, რომ თებერვალი 28-თაა, შეიძლება ეგონოს 1 მარტამდე მეხუთე დღეს ვზეიმობთ ჩვენს დაბადებას. ყველას მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას ვუსურვებ, სიკეთეს, სიყვარულს, ბედნიერებას და შეგახსენებთ, რომ სულაც არ ვართ იმ ასაკის, რა ასაკიც გვისრულდება 1 მარტს. ჩვენი ასაკი გავყოთ 4-ზე და ჯერ ისევ პატარა ასაკი გვაქვს. მე, მაგალითად ამ წლის 29 თებერვალს „7“ წელი მისრულდება. ჩემი გიორგი ხომ 7 წლისაა?! – სოფო ისე საყვარლად იცინის, ძნელია არ დაეთანხმო.

მეც ვუერთდები სოფოს მილოცვას და გილოცავთ დაბადების დღეს, მათ შორის საგარეჯოელ გიგა დარბაისელს, რომელსაც 48 წელი კი არა, „12 წელი უსრულდება“ ამ წლის 29 თებერვალს (გიგამ საპატიო მიზეზით უარი თქვა ამჯერად რესპოდენტობაზე).

საგარეჯოელი „სინოპტიკოსის“ უტყუარი პროგნოზი



ჩვენი მუნიციპალიტეტი, ერთი შეხედვით, თითქოს პატარა მუნიციპალიტეტია, მაგრამ კახეთის დანარჩენი 7 მუნიციპალიტეტიდან საგრძნობლად გამორჩეული. ამ გამორჩეულობას მხოლოდ მისი სილამაზე და მშრომელი ადამიანები არ განსაზღვრავენ. აქ, სწორედ ამ პატარა მუნიციპალიტეტში გვყავს შორეული ნაოსნობის გემის კაპიტანი, ბეჭდაუდებელი ფალავნები, ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, მსოფლიოს ჩემპიონები, სპორტის ოსტატები, პედაგოგები, პოეტები, მეცნიერები და წარსულში?! წარსულიდან სამყაროში არსებული თითქმის ყველა სფეროს მიეცა აქ, ამ მიწის ბარაქითა და ღალით გაზრდილი ადამიანები, რომლებმაც საქართველოს სახელი ჯერ საქართველოშივე ასახელეს, შემდეგ კი საბჭოეთის სივრცეშიც გაიტანეს. ამიტომაცაა, დღეს საგარეჯოელების აღარც ერთი პროფესია აღარ გვაკვირვებს. თუმცა, ბოლო ხანებში სოციალურ ქსელში გამოჩენილმა ამინდის ერთკვირიანი „პროგნოზის“ 100%-ით გამართლებამ ინტერესის ტალღა გაზარდა. ვინ არის, საიდან ამდენი და თანაც სწორი, გამართლებადი ინფორმაცია? ჩვენც დავინტერესდით, თითქმის ერთ წელზე მეტია თვალყურს ვადევნებთ ინფორმაციას და 1%-იც არ ჩანს ცდომილება. ზოგჯერ რამდენიმე საათით ადრე გვაფრთხილებს, თუ სადმე ცდომილებაა, უფრო სწორად, უფლის ნებას დამორჩილებული ქარები თუ სიჩქარეს გაზრდიან, ან მიმართულებას იცვლიან...

გასულ წელს საგარეჯოელებმა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში ახალგაზრდობამ და არა მარტო მათ, კარგად იხალისეს ციგაობით, წელს ასეთი „ბედნიერება“ აღარ გვქონდა და „პროგნოზისტს“ ხშირად საყვალობლად ეხმიანებოდნენ: „თოვლი როდის გვექნება ბ-ნო მერაბ?“ „მერაბი ძია, თქვენს პროგნოზში თოვლი არ არის“?!

და რა არის, იცით! ადამიანი ცას კი აღარ შეჰყურებს და მეზობლის მოხუცებულ ბებია-პაპებს აღარ ეკითხება – სახსრები ხომ არ გტკივა, ცუდი ამინდი ხომ არ იქნება ხვალო? დიახ, ფსიქოლოგიურად მომზადებული ვხვდებით, რომ სამი მდინარის შუა გაშენებულ საგარეჯოს ხშირი სტუმარია ქარი, რომ მოიმატებს ამა და ამ საათიდან, ან დაიკლებს, ან სადღაც მოუსავლეთში გადაიხვეწება.

დიახ, საგარეჯოელი **მერაბ სამუნაშვილი,** რომელიც ჩვენს გვერდით, ე.წ. სადგურის დასახლებაში ცხოვრობს, ყოველგვარი გასამრჯელოს, ყოველგვარი შემოწირულობის გარეშე მოსალოდნელი ამინდის ყოველკვირეულ დახასიათება-პროგნოზს დებს ფეისბუკ „საგარეჯო-sagarejo“-ს გვერდზე. და იცოცხლეთ, ყველა საგარეჯოელი, მეურნე, მეცხოველე, მევენახე, მემინდვრე, ინჟინერი, მასწავლებელი, ექიმი, დიასახლისი თუ პენსიონერი, ყველა მის მიერ გამოქვეყნებულ ერთი კვირის პროგნოზის მიხედვით გეგმავს თავის სამუშაო განრიგს.

– ყოფილა შემთხვევა, როცა ჩემთვის უკითხავთ, აბა, ერთი, დაგვაკვალიანე, საზამთროს დათესვა გვინდა და რომელი დღე სჯობიაო. სიმართლე გითხრათ, 27 წელი ისეთ ადგილას ვმუშაობდი, ისეთი სამსახურებრივი რეჟიმი მქონდა, საგარეჯოში მხოლოდ ჩემს თაობას თუ ვიცნობდი, მაგრამ აი, ამ ბოლო წლებში სოციალური ქსელით უამრავი ადამიანი გავიცანი. უამრავი ფეისბუკზე მწერს – კომენტარებში, , პირადში ან ტელეფონით მიკავშირდებიან. მოგეხსენებათ, საგარეჯოს სოფლის მეურნეობის დარგის რაიონია და ვენახის წამლობა იქნება თუ ხვნა-თესვა, ბევრადაა დამოკიდებული ამინდზე.

– სამსახურებრივი რეჟიმი ახსენეთ...

– დიახ. 1972 წელს დავამთავრე საგარეჯოს რკინიგზის მე-19 რვაწლიანი სკოლა (მაშინ სადგურის დასახლებაშიც გვქონდა სკოლა). 1972 წელს საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმი პირველი საშუალო სკოლის შენობიდან ახალ შენობაში, სადგურის დასახლებასთან ახლოს გადმოიტანეს და მეც იქ გავაგრძელე სწავლა. 1975 წელს სამხედრო-სავალდებულო სამსახური ლენინგრადის ოლქში მოვიხადე, სადაც მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება-გასაღების სექტორში ვმსახურობდი. სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ მუშაობა დავიწყე ე.წ. „ალინჯის სამხედრო ნაწილში“. სინამდვილეში კი ეს იყო, სამხედრო №430 საწყობი – სამხედრო ნაწილი – 55-437ამიერკავკასიის საინჟინრო ნაწილების მთავარი საწყობი. სწორედ აქ ვიმუშავე, რომ იტყვიან სამხედრო რეჟიმით 27 წელი. მოგეხსენებათ, 1989 წლიდან საქართველოში დატრიალებული სოციალურ-პოლიტიკური ამბები აღნიშნულ სამხედრო ნაწილზედაც მოქმედებს და სწორედ ამ წლიდან სამხედრო ნაწილი ნელ-ნელა იშლება. საბოლოოდ კი დაიხურა 2003 წელს.

– გვაინტერესებს, როგორ და როდის დაინტერესდით ამინდის წინასწარმეტყველებით?

– 8 წლის მე ვიყავი და 6 წლის ჩემი ძმა ჯემალი, როცა მამა უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა რკინიგზაზე. დედა ყოველთვის ყურადღებით იყო ჩვენს მიმართ, რაღაც შიში ჰქონდა, ყოველთვის მისი მეთვალყურეობის ქვეშ გვიწევდა თამაში. ერთ დღეს ტოლებთან მოთამაშეები სახლში წამოგვიყვანა აფორიაქებულმა – მალე იწვიმებს და არ დამისველდეთ, ან რაიმე ხიფათს არ გადაეყაროთო. სახლამდე შევეკითხე, კი მაგრამ ღრუბლები არსად ჩანს, შენ საიდან იცი – მეთქი. მერცხლები დაბლა დაფრინავენ და როცა ჩიტები დაბლა იწყებენ ფრენას, იცოდე ეს წვიმას მოასწავებსო. მართლაც, მოულოდნელად თავსხმა წამოვიდა, მე კი გაკვირვებული დავრჩი. ისიც მახსოვს, როგორ პრიმიტიულად წინასწარმეტყველებდნენ მოსალოდნელ ამინდს მოხუცები. 8 წლიდან, შეძლებისდაგვარად თვალყურს ვადევნებდი ამინდის პროგნოზს, ვამოწმებდი, რამდენად მცდარი იყო ან ემთხვეოდა. გავიდა წლები. 1996 წელს მივლინებით ვიყავი როსტოვში, და იქ სამხედრო მაღაზიაში ბარომეტრი ვნახე. სულ მაინტერესებდა, ბარომეტრს რა დანიშნულება ჰქონდა ამინდის წინასწარმეტყველებაში. არც ასტრონომიის საგანი გამივლია, რაიმე რომ მცოდნოდა, ამიტომ თვითგანათლებით მოვახერხე საინტერესო საკითხებში გარკვევა. მით უმეტეს დღეს სოცქსელში ათასნაირი საიტია გახსნილი, რისი მიხედვითაც ვიგებ, რა ამინდია ზღვაზე, როგორი ამინდი იქნება საგარეჯოში, კახეთში და ასე შემდეგ.

– რაიმე კურიოზი თუ ყოფილა ამინდის პროგნოზირებისას?

– თუ დააკვირდებით, მე ვაქვეყნებ უახლოესი ერთი კვირის, ან 10 დღის მოსალოდნელ კლიმატურ ცვლილებებს, ზოგჯერ კორექტირების შეტანაც მიხდება და ხშირად, როგორც წესი, სოცქსელის მომხმარებელი დაკვირვებით არ კითხულობს პატარა ცვლილებას ან არ აკვირდება მითითებულ დროს და ეგრევე, კახური პირდაპირობით მწერს – აკი, თოვლი უნდა მოსულიყოო?! რატომ არ თოვს, კაცოო, უკვე 11 საათი გახდა, ხო უნდა ეთოვა?! აკი ქარი უნდა ყოფილიყო და ასე შემდეგ... მაგრამ, მაინც მომიმრავლდა ნაცნობები, მუდმივად დაინტერესებული პირები და მადლობებსაც მიგზავნიან ისინი, ვინც „დაემორჩილა“ ჩემს პროგნოზს.

– ოჯახზე რას გვეტყვით?

– მყავს მეუღლე და 2 ვაჟი. ოთარი ერთხანს სიღნაღის რაიონში პროკურორად მუშაობდა, ახლა თბილისში მუშაობს თავისი პროფესიით. გიორგი ერთხანს საგარეჯოელები იცნობდნენ, როგორც წარმატებულ მოჭადრაკეს, თუმცა თბილისის თბს ბანკის ერთ-ერთ პასუხისმგებელ მუშაკს დღემდე არ შეუჩერებია ინტერესი ჭადრაკის მიმართ. მყავს 4 შვილიშვილი.

P.S. ***16 თებერვალს გარეჯელ „სინოპტიკოსს“ დაბადებიდან 67 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ! ჯანმრთელობას, სიკეთეს, ოჯახთან ერთად ბედნიერ ცხოვრებას ვუსურვებთ.***

კოლმეურნეობის თავმჯდომარეობისას...

კაკაბეთში კოლმეურნეობის თავმჯდომარეობის დროს ლევან თედიაშვილის მიერ სოფლისათვის გაკეთებული სიკეთეებიდან ერთ-ერთია მის მიერ უპატრონო და მიუსაფარი მანო ოთიაშვილისათვის გაწეული დახმარება, რასაც იმ დროისათვის დიდი გამოხმაურება და აჟიოტაჟი ახლდა, მაშინ მე ამ კოლმეურნეობის პატრიული კომიტეტის მდივნად ვმუშაობდი და თვითმხილველი და მონაწილეც ვიყავი, თუ როგორი ენთუზიაზმით მოეკიდა იგი ამ ქალბატონისათვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა და ყველა საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის საქმეს. ამ სახლს თითქმის მთელი კოლმეურნეობის მუშა-მოსამსახურეები ვაშენებდით, სამშენებლო მასალებით კი ლევანის ნაცნობ-მეგობრები რუსთავიდან, თბილისიდან და ვინ იცის, საიდან აღარ გვამარაგებდნენ. როცა სახლი აშენდა და საუკეთესო ავეჯით მოეწყო, ეზოში ახალი რკინის ჭიშკარიც ჩამოაბმევინა, რომელიც შესაღები გახლდათ. ამიტომ „მარილის მოსაყრელად“ გადაწყვიტა თვითონ შეესრულებინა ეს საქმე. ერთ კვირა დღეს საგარეჯოში გამომიარა და საღებავებითა და ფუნჯებით „მანოს“ სახლისაკენ (ყველა ასე იცნობდა ამ ქალს კაკაბეთში) ავიღეთ გეზი. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ადგილზე ჩასულებს მანოს სახლში ლევანის მეუღლე და მისი მეგობარი ქალბატონები დაგვიხვდნენ. რაღა თქმა უნდა, ჭიშკარი იმ დღესვე შევღებეთ, ლევანმა ნამუშევარი და ოთახის მოწყობილობა შეამოწმა და თქვა: – ერთი მაცივარიღა გვაკლია და იმასაც მოვიტანთო და მართლაც, ორ დღეში საგანგებოდ თბილისიდან ჩამოატანინა. და მარტო ამით როდი ამოიწურა მანოს მიმართ მისი სიკეთე ფილმ „ხარება და გოგიაში“ უპატრონო ქალის როლი ათამაშებინა (რთვლის სცენაში), რომელიც სოფელში „არანორმალურად“ მიაჩნდათ.

ცალკე უნდა აღინიშნოს მის მიერ კაკაბეთში ე.წ. “დვრინის“ სასმელი წყლის ახალი მაგისტრალის გაყვანა , რაშიც აქტიურ დახმარებას რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მესვეურები უწევდნენ რკინის მილების მოწოდების მხრივ. ეს საქმეც იმ დროისათვის ისტორიული იყო კაკაბეთის სინამდვილეში და ამ წყალს კაკაბელები „ლევანას წყლად“ მოიხსენიებდნენ. ამ და სხვა უამრავი კეთილი საქმეებისათვის ყოველ პურ-მარილზე კაკაბელები ლევანას ძეგლის დადგმას ჰპირდებოდნენ, ის კი ჩვეული ოხუნჯობით – „ჯერ ხო არ მოვმკვდარვარ, თქვე ჩემალალოებოო...“

ძეგლისა რა მოგახსენოთ და თუ კაკაბეთში დვრინის წყლის მაგისტრალი კვლავ არსებობს, კარგიო იქნებოდა, ამ დიდი კაცის სახელი მიეკუთვნოს.

ლუდის ბარი და სიმღერები

კაკაბეთის ფოლკლორულ ანსამბლ „ბერიკაცების“ ხელმძღვანელი ნიკო გიგოშვილი იხსენებს: თბილისში, გმირთა მოედანზე სამამულო ომის გმირთა ღონისძიებაზე სხვა შემოქმედებით კოლექტივებთან ერთად კაკაბეთის „წითელი ოქტომბრის“ კოლმეურნეობის ვაჟთა სიმღერის გუნდიც იყო მიწვეული. ცხელოდა და თბილისში ჩასულებმა ღონისძიების დაწყებამდე სანაპიროზე მდებარე „ლუდის ბარში“ შევიარეთ ლევან თედიაშვილთან ერთად, რომელიც მაშინ ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. ლუდით საკმაოდ რომ შევზარხოშდით, ლევანმა, ამ ლუდს კარგი სიმღერა მოუხდებაო და ჩვენც რაღა გაგვაჩერებდა – მაშინ ლუდის ბარში სიმღერების შესრულება აკრძალული იყო და შეშინებული ბარის დირექტორი მუქარით ჩამოგვივარდა დარბაზში, მაგრამ, ლევანის დანახვაზე ვეღარაფერი გააწყო და ჩვენც გავაგრძელეთ სიმღერები. უამრავი ხალხი მოვიდა და იმის გარდა, რომ ლევანმა კარგა გვარიანი თანხა გადაუხადა, მათაც ბევრი ფული დახარჯეს. ასეთი მოგების მერე, როცა ბარში ჩავდიოდით ხოლმე, დირექტორი გვეხვეწებოდა, გუნდის წევრებს გვემღერა.

ლუდის ბარიდან მომღერლები გმირთა მოედანზე გავემგზავრეთ და ჩვენი სიმღერებით დამსწრეთა დიდი მოწონება დავიმსახურეთ. ეგ იყო, რომ სხვებთან შედარებით, ცოტა არ იყოს „შელახული“ ჩოხებით წარვდექით მაყურებლის წინაშე. კონცერტი რომ დამთავრდა, ლევანმა გვითხრა, ჩვენი გუნდი სხვებზე ნაკლები არაა და ასეთი ფორმა არ გეკადრებათო და ახლის შეძენას დაგვპირდა. მართლაც, სულ მოკლე ხანში გუნდის თხუთმეტივე წევრს სათითაოდ ახალი ჩოხა-ახალუხი და სხვა აქსესუარები შეგვიძინა, რითაც ჩვენს გამოსვლებს კონცერტებზე მეტი შნო და ლაზათი მიეცა. ეს ზღვაში წვეთი იყო იმ სიკეთისა, რასაც იგი აკეთებდა ხალხში. ასეთი კაცი იყო, თუ ვინმეს რაიმეს შეპირდებოდა, უსათუოდ შეასრულებდა თავის დანაპირებს

გივი დაგახიშვილი

ლევან თედიაშვილის წარმატების საიდუმლო

მიუხედავად იმისა, რომ ლევან თედიაშვილი პროფესიონალი მსახიობი არ არის, მის მიერ შესრულებული როლები არაერთ საერთაშორისო კინოფესტივალზე პრიზებითა და პრემიებით აღინიშნა.

გიორგი შენგელაიას ფილმში “ხარება და გოგია” მან გოგია კენკიშვილის როლი შეასრულა. რეჟისორს ყველაზე მეტად ფილმში მონაწლეობაზე სწორედ ლევან თედიაშვილის დათანხმება გაუჭირდა.

იმ პერიოდში მოჭიდავე სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. როდესაც გიორგი შენგელაიამ კაკაბეთში ჩააკითხა და ვერანაირად ვერ მიაღწია შეთანხმებას, ისიც კი უთხრა, 6 ათას მანეთს ჰონორარს გადაგიხდიო. 1985-86 წლებში 6 ათასი მანეთი კარგი ფული იყო. გამოიღო ლევანმა სეიფიდან 8 ათასი მანეთი, დაუდო გიორგის და უთხრა: – აიღე ეს ფული და თავი დამანებეო.

ფილმში “ხარება და გოგია” შესრულებული როლისთვის ტაშკენტის მსოფლიო კინოფესტივალზე მამაკაცის ***როლის საუკეთესოდ შესრულებისათვის ლევან თედიაშვილმა “ოქროს პრიზი”*** დაიმსახურა.

1993 წლის 22 სექტემბერი მის ცხოვრებაში ყველაზე მძიმე და ტრაგიკული აღმოჩნდა – აფხაზეთის ომის დროს, ბაბუშერას აეროპორტში აფეთქებულ თვითმფრინავს შეეწირა ლევან თედიაშვილის 19 წლის ვაჟი ვახტანგი. საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის ბრძანებით, ვახტანგ თედიაშვილი 1998 წელს ვახტანგ გორგასლის სახელობის III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ლევან თედიაშვილი კვლავ დაუბრუნდა გადასაღებ მოედანს და 2021 წელს მონაწილეობა მიიღო რეჟისორ ლევან კოღუაშვილის ფილმში “მეოთხე ბრაიტონი”. ტრიბეკას კინოფესტივალზე იგი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის დააჯილდოვეს.

მწერალი ნუგზარ შატაიძე ლევან თედიაშვილთან დაკავშირებით ერთ ისტორიას იხსენებდა და მისი წარმატების საიდუმლოსაც გასცემდა:

“ერთხელ ლევან თედიაშვილს ვკითხე, მაინც რა იყო, რატომ გახდი მოჭიდავე-მეთქი? იმიტომ, რომ ქათმის ხორცი მიყვარდაო. გამიკვირდა, ქათმის ხორცი რა შუაშია-მეთქი?

გეტყვიო: „დედაჩემი ქათამს მარტო მაშინ დაგვაკვლევინებდა, სტუმარი რომ მოგვივიდოდა, მაგრამ იმ ქათმის მე მარტო ერთი ბარკალი მხვდებოდა. ჰა, ჰა, ერთი ბარკალი და ერთიც ფრთისძირი. არადა, ძალიან მიყვარდა, ვგიჟდებოდი ქათმის ხორცზე.

ერთხელ რაიონის მოზარდ მოჭიდავეთა ნაკრებში ამიყვანეს. შეკრებაზე ვართ. სადილის დრო რომ მოვიდა, შეგვიყვანეს სასადილოში და წინ ნახევარი შემწვარი ქათამი დამიდეს. მორიდებით ვიკითხე – ბოდიში, მაგრამ ესა სუ ჩემია-მეთქი? შენია, მა ვისიაო!

აი, სწორედ მაშინა ვთქვი გულში – მორჩა, თქვენ მე აქედან ვეღარ მომიშორებთ-მეთქი!”

სპორტი

ძიუდო

თბილისში, ძიუდოს აკადემიის ტატამზე

17-18 თებერვალს, თბილისში ძიუდოს ეროვნული აკადემიის ტატამზე ჩატარდა სარეიტინგო ჩემპიონატი 2008-2009 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორტის, სადაც თავიანთ ძალებს ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ საგარეჯოსა და გიორგიწმინდის ძიუდოს სექციების აღსაზრდელების სცდიდნენ. ჩვენი მოჭიდავეებიდან ჩემპიონატში 55 კგ წონით კატეგორიაში II ადგილისა და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა ***გიორგიწმინდელი*** **ლუკა დარისპანაშვილი** (***მწვრთნელები*** **გოჩა მეკოკიშვილი, ბადრი ბასილაშვილი).** ასეთივე შედეგი აჩვენა 60 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **ვახტანგ ჯიაბერაშვილმა** (მწვრთნელები: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **მამუკა მათიაშვილი** და **ნუკრი გაგნიაშვილი).** ჩემპიონატში 73 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე გავიდა იგივე მწვრთნელების აღსაზრდელი **ლადო მაჩურიძე.**

გივი დაგახიშვილი

მოგონებები ლევანზე

გაგრძელება

დან ჩამოიყვანა - ვალუტის გაცვლა-გამოცვლაში ყოფილა შემჩნეული. მწვრთნელები საგონებელში ჩავარდნენ - პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი იყო სამბოში და მარცხი არ უნდოდათ.

საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა არკადი ლენცმა დახმარებისთვის ვახტანგ ბალავაძეს მიმართა: ლევან თედიაშვილს ჭაბუკობისას სამბოშიც უჭიდავია, საკავშირო პირველობის პრიზიორიც ყოფილა და იქნებ მდგომარეობიდან გამოგვიყვანოთო. ორივენი ლევანს მიადგნენ. ოლიმპიურმა ჩემპიონმა იმედები არ გაუცრუა.

მერე ***საერთაშორისო არბიტრი შოთა ზუკაკიშვილი იხსენებდა,*** ლევანმა კახურად გვითხრა, “მაიტა, ვიჭიდავებო”. დილის ხუთ საათამდე გენადი გიორგაძესთან (თეირანში ისიც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა) ერთად ამუშავებდა ილეთებს. მეორე დღეს გავიდა ლეიბზე და სულ ხუმრობა-ხუმრობით მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა.

ოთხი წლის შემდეგ ლევან თედიაშვილი ისევ ეწვია თეირანს, უკვე ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი. საერთაშორისო ტურნირზე, რომელსაც შაჰი ესწრებოდა, ლევანმა წამები მოანდომა მეტოქეების დამარცხებას. ფინალში მასპინძელ სულეიმანს უნდა შეხვედროდა. საკავშირო ნაკრების მწვრთნელ იური შახმურადოვისგან გაიგო, რომ ირანელები წაგებისთვის 50.000 დოლარს იხდიანო.

შუამავლებს უთხრა, 80.000-ს კაპიკი არ დააკლდებაო. ისინიც მაშინვე დატრიალდნენ, მაგრამ სანამ ფულით დაბრუნდებოდნენ, თედიაშვილი უკვე ხალიჩაზე იდგა და შაჰის ფავორიტს კატა-თაგვობანას ეთამაშებოდა. მერე ეს რომ მოსწყინდა, სულეიმანი ხალიჩაზე დაახეთქა, თავად კი შეხტა და იმ მხარეს, სადა შაჰი იჯდა, უხამსი ჟესტი გააკეთა, აი, ფეხბურთელებმა რომ იციან, ისე.

ძლივს გადაურჩა მაყურებლებს, ნაკრების ხელმძღვანელებისგან ბევრი საყვედურიც მიიღო, მაგრამ... “მე მაინც ძალიან კმაყოფილი ვიყავი, -ამბობს ფალავანი. – რაც მაგ შაჰებს საქართველოსთვის საქმე უქნიათ, ხო ერთბაშად ამოვიყარე ყველას ჯავრი”.

მასთან ჭიდაობა შეუძლებელია

1972 წელს იაპონიის პროფკავშირთა სასპორტო ასოციაციამ ქართველ ძიუდოისტებთან ერთად ამხანაგური შეხვედრებისთვის თავისუფალი სტილით მოჭიდავეებიც მიიწვია. სახელოვანმა ძიუდოისტმა შოთა ჩოჩიშვილმა მხარი იტკინა. ტატამზე გასვლა ვერ შეძლო. მწვრთნელებმა ლევანს სთხოვეს დახმარება. ძიუდოს და ჭიდაობის დარბაზები მეზობლად იყო. ხალიჩაზე ორთაბრძოლას რომ მორჩებოდა, ტატამისკენ გარბოდა...

ერთ დღეში 10 შეხვედრა მოიგო. ქომაგებთან ერთად მეტოქეებიც დიდად აფასებდნენ ლევან თედიაშვილის ტალანტს. 1975 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გერმანელმა ჰორსტ შტოტმაისტერმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა: მე, ფაქტობრივად, მსოფლიოში უძლიერესი მოჭიდავე ვარ, თუ, რა თქმა უნდა, ლევან თედიაშვილს არ მივიღებთ მხედველობაში, ვინაიდან მასთან ჭიდაობა, ჩემი აზრით, შეუძლებელია”.

ალემანმა ქართველ ფალავანთან შვიდიდან ექვსი ორთაბრძოლა წააგო, მათ შორის სამჯერ - მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალში. ორივენი თავიდან 82 კილოში გამოდიოდნენ. 1971-1972 წლებში ჰორსტი ჯერ სოფიაში დამარცხდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, მერე მიუნხენის ოლიმპიადაზე წააგო ქართველთან. ლევანმა 90-ში რომ გადაინაცვლა, გერმანელმაც მოიმატა წონაში და მინსკში მსოფლიოს ჩემპიონატის გადამწყვეტი პაექრობა ისევ თედიაშვილთან დათმო.

ლოთი პეტერსონი

ერთხელ ჯონ პეტერსონი თბილისის საერთაშორისო ტურნირს ეწვია. ამერიკის გუნდი სასტუმრო “თბილისში” დაბინავდა. ლევანმა ჯონი კახეთში წაიყვანა. მამამ შვილი და მისი ამერიკელი მეგობარი მარანში შეიყვანა, ქვევრს თავი მოხადა. ღვინის სურნელი მოედო იქაურობას. ჯონმა გასინჯა ქარვისფერი სითხე. მოეწონა. ლევანმა შესთავაზა, ამერიკულად დავლიოთ, ვითომ კოკა-კოლას ვწრუპავთო: გრძელი რეზინის შლანგი შუაზე გაჭრა, თითო ბოლო ქვევრში ჩაუშვა, მეორეთი კი ღვინის სმა დაიწყეს.

გვარიანად გამოთვრნენ. მეორე დილით ლევანმა სასტუმროში მიაკითხა ამერიკელს. ჯონი საწოლზე იწვა პირსახოცით თავწაკრული. ხმას არ იღებდა. ქართველმა ფალავანმა ბოცებით ღვინო აიტანა ნომერში, აბაზანაში ჩაასხა და სტუმარს უთხრა, ადე, “პახმელიაზე” უნდა გამოგიყვანოო. ჩააწვინა აბაზანაში. ეტყობა, ღვინის სურნელმა იმოქმედა, ჯონი 10 წუთის შემდეგ ჩიტივით იყო. ეს რა კარგი რამე გცოდნიათო, უთხრა ლევანს გამოცოცლებულმა პეტერსონმა.

ეტალონი

1976 წლის 31 ივლისს მონრეალის ოლიმპიურ ხალიჩაზე 90 კილოში ბოლო ოლიმპიური ოქროს მედლის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. ერთმანეთის პირისპირ მიუნხენის თამაშების ჩემპიონები – ლევან თედიაშვილი და ამერიკელი ბენ პეტერსონი იდგნენ. ოთხი წლის წინ ისინი მიუნხენში სხვადასხვა წონით კატეგორიაში ავიდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

ჯონიმ, რომელსაც მონრეალში ოლიმპიური ჩემპიონობა მოეპოვებინა და ძმას სეკუნდანტობდა, ბენს უთხრა თურმე – “ტედის” შენი შემოწმება გადაუწყვეტიაო. “ერჩივნა, თავის წონაში დარჩენილიყო, ჩემთან ვერაფერს გახდება”,- იმედიანად იყო მიუნხენის გმირი.

“ამერიკელები მონრეალში თავს მასპინძლებად გრძნობდნენ, - იგონებს ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონი ლევანი. – ვიცოდი, არბიტრები ოლიმპიადის ბოლო დღეს ამერიკელის მხარეს იქნებოდნენ, ამიტომაც ფინალის წინ საიდუმლო სცენარი შევიმუშავე – მსაჯები უნდა დამერწმუნებინა, რომ ბენი მათ დაუხმარებლადაც მომიგებდა.

მართლაც, პირველი ქულა ავიღე თუ არა, ვცდილობდი, არ მეჭიდავა. არბიტრებმა გაფრთხილება მომცეს და ანგარიშიც გათანაბრდა – 1:1. პირველი პერიოდი ფრედ - 2:2 დამთავრდა. საბჭოთა დელეგაციის წევრები შეშფოთებული მიყურებდნენ. მათ ხომ ჩემი

დასასრული მე-8 გვერდზე

სპორტული ფორმები საჩუქრად

საგარეჯოს ***მუნიციპალიტეტის მერი*** **ავთანდილ გულიკაშვილი** სპორტული სასკოლო ოლიმპიადის რეგიონული ტურის მონაწილეებს შეხვდა, სასკოლო გუნდის მწვრთნელებსა და წევრებს სპორტული ფორმები გადასცა და წარმატებები უსურვა.

რეგიონულ სპორტულ სასკოლო ოლიმპიადაზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გუნდები გეზრბენში, კალათბურთის, ფეხბურთისა და ფრენბურთის სახეობებში იასპარეზებენ.

სკვერების მოწყობა დასრულდა

სოფელ წყაროსთავში და ქალაქ საგარეჯოში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოში მოსასვენებელი და საბავშვო გასართობი სკვერების მოწყობის სამუშაოები დასრულდა.

პროექტი ***ადგილობრივი ბიუჯეტიდან*** დაფინანსდა და მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, გასართობი, სპორტული და მოსასვენებელი სივრცეების მოწყობა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც აქტიურად გაგრძელდება.

მოგონებები ლევანზე

დასასრული

საიდუმლო გეგმის შესახებ არაფერი იცოდნენ".

მე-2 პერიოდი თედიაშვილმა 6:4 მოიგო. მესამეში, სანამ მწვრთნელები და ბენი აზრზე მოვიდოდნენ, ქართველმა ფალავანმა ხუთი ქულა აართვა ამერიკელს და 11:5 გაიმარჯვა. გაოგნებული უყურებდნენ უკვე ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს. მეორე დღეს "მონრეალ სტარის" კორესპონდენტი წერდა: "ტედი" თანამედროვე სპორტსმენის ეტალონია. იგი ყველაზე დიდია მსოფლიოში, ყველაზე ძლიერი და

სრულყოფილი, ამიტომაც აღიარეს მონრეალის ოლიმპიური ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედ".

ხარება და გოგია

ალბათ, ყველას გვინახავს მხატვრული ფილმი ტყის ძმებზე - გიორგი შენგელაიას "ხარება და გოგია". მთავარ როლებს სახელოვანი სპორტსმენები ასრულებენ: გოგია კენკიშვილს - ოლიმპიური თამაშების ორგზის გამარჯვებული, მსოფლიოს ხუთგზის და ევროპის სამგზის ჩემპიონი ლევან თედიაშვილი, ხარება ჯიბუტს - ველოსპორტში 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, სპრინტში მსოფლიოს ჩემპიონატების სამივე სინჯის მედლის მფლობელი, საბჭოთა კავშირის ათგზის ჩემპიონი ომარ ფხაკაძე.

1987 წელს სახელოვანმა კინორეჟისორმა გიორგი შენგელაიამ ტყის ძმებზე ფილმის გადაღება გადაწყვიტა და მთავარ როლებში ტიტულოვანი სპორტსმენების მიწვევა გადაწყვიტა. დასაყოლიებლად კაკაბეთში ჩააკითხა ლევან თედიაშვილს - 6.000 მანეთს მოგცემო ჰონორარს. იმ დროისთვის ეს ურიგო თანხა არ იყო. ბატონი ლევანი მაშინ ამ სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახლდათ. სეიფიდან 8.000 მანეთი გამოუდია და გიორგი შენგელაიასთვის უთქვამს - ა, ბატონო, მე უფრო მეტს მოგცემთ, ოღონდ თავი დამანებეთო.

ვერ ეტყოდა თუ რა - პირდაპირი და პირში მთქმელი კაცია ბატონი ლევანი და ყოველთვის იმას ამბობს და აკეთებს, რასაც ფიქრობს. ომარ ფხაკაძეც არ იყო თანახმა ფილმში მონაწილეობაზე, მაგრამ საქმეში ცეკას პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი ჩაერია და... მოგვიანებით გიორგი შენგელაია იტყვის, ნამდვილი ვაჟკაცები მჭირდებოდა, მსახიობები კი ასეთები ვერ იქნებოდნენო.

ფილმში ხარებას ძმის - სიმონას როლს ანსახიერებს ცნობილი მწერალი, მრავალი პრემიის ლაურეატი, სპორტის ჟურნალისტი ნუგზარ შატაიძე, რომელიც, სამწუხაროდ, 64 წლისა გარდაიცვალა. გასული საუკუნის 80-იან წლებში იგი გაზეთ "ლელოში" მუშაობდა. თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. ხშირად ყვებოდა ფილმის გადაღებასთან დაკავშირებულ ეპიზოდებს, განსაკუთრებით ლევან თედიაშვილის ოინებს იხსენებდა.

ზოგი რამ მან ლეგენდარული ფალავნისადმი მიძღვნილ ნარკვევშიც გამოიყენა. გადაღებებისას ჩვენ ერთგვარად შებოჭილები ვიყავით, ლევანი კი, მუდამ დიმილიანი და ოხუნჯობის ხასიათზე მყოფი, თავს ისე გრძნობდა, თითქოს მთელი ცხოვრება სცენაზე გაეტარებინოსო, ამბობდა.

არც გაგვკვირვებია, რადგან ლევან თედიაშვილის ხალიჩაზე თითოელი გასვლა ხომ ერთ წარმოდგენად ღირდა: მხრებგაშლილი, შუბლგახსნილი და დიმილიანი ვეფხვივით აეტოტებოდა მეტოქეს, ზოგს კი კატათაგვობანას ეთამაშებოდა ორთაბრძოლისას. მისმა ღიმილმა ბევრ სახელოვან ფალავანს გამოაცალა ფეხქვეშ საყრდენი...

ხაშლამა და გაფუჭებული დუბლი

ისევ გამექცა კალამი... მოდით, სულმნათ ნუგზარ შატაიძის მონათხრობს მივადევნოთ თვალი - ბატონი ლევანი გადაღებების შემდეგ ქეიფისთვის ყოველთვის პოულობდაო საბაბს: "თეორ "ნივაში" ვსხდებით და ქვემოთ მივჯაყჯაყებთ. საეჭვოდ გამხიარულებული ლევანი იცინის, ცქმუტავს, ადგილზე ვერ ისვენებს. ჩავდივართ კაკაბეთში. იქ დაბარებულივით მივადექით ერთ სახლს და მანქანიდან გადავდივართ. სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმის...

ლასტებით შემოღობილ ბაკში ექვსი თუ შვიდი ბატკანი მიჰხუტებია ერთმანეთს. ლევანი მე მიყურებს.

- აბა, რომელი წავიყვანოთ?

- ყველაზე მოზრდილს ვირჩევ...

სახლის პატრონს ბარათი დაუტოვა - "ლევანამ წავიყვანე". ბატკანი მანქანაში ჩასვა და... საგარეჯოს დაბურულ ტყეში შუადამემდე ისმოდა მოქეიფეთა სიმღერა და მაუზერების ბათქაბუთქი.

ხარება-და-გოგოია-1647343906.ჯპგ

ერთი ეპიზოდიც ბატონი ნუგზარის მონათხრობიდან: ფილმში არის ასეთი სცენა - ხარება და გოგია თავისი ბიჭებით ციხეს დაეცემიან და ხარებას ძმას ათავისუფლებენ. ციხის ეზოში მას ტყვია ხვდება.

"ომარი მხრებში ხელს მავლებს და გალავნისკენ მიმათრევს, - წერს ნუგზარ შატაიძე. - მე ვწევარ, მკვდარს ვთამაშობ. ამ დროს კადრში შემორბის მაუზერმომარჯვებული ლევან თედიაშვილი და ყვირის: დროზე, ბიჭო, დროზე, გაცივდა ხაშლამა!.. ის დუბლი გაგვიფუჭდა".

დუბლი კი გაფუჭდა, მაგრამ საბოლოოდ შესანიშნავი ფილმი გამოვიდა. ტაშკენტის მსოფლიო კინოფესტივალზე მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ლევან თედიაშვილს "ოქროს არჩა" გადასცეს. ეს ჯილდო დღეს მის სპორტულ კოლექციას ამშვენებს...

ხალიჩაზე ხომ შეუდარებელი იყო, ახალ ამპლუაშიც დაამახსოვრა თავი მსოფლიოს...

ჭიდაობის განუმეორებელ ცოცხალ ლეგენდას ლევან თედიაშვილს

ის ჩვენი სიყრმის ფესვები
სულს მოეფინა დარადა.
დარდიან გულზე მზენათელ
ბავშვობამ გამოანათა.
საგარეჯოდან გაფრინდა
შენი უძლევი მერანი,
მსოფლიო ჰიმნებს გიკრავდა –
თედიაშვილო ლევანი.
ვეფხვის სიმარდით ხალიჩებს
ცეცხლს უკიდებდი ომივით,
უძლეველ ფალავნებშია
ბრდღვინავდი ხვადი ლომივით!
პეტერსონ-შტოტმაისტერებს
შეასკდი, ვით კლდე-ტინია!..
ბეჭდაუდებელ ფალავნად
დარჩი ღმერთკაცი გმირია.
კაცმა რომ ვერა დაგაკლო,
ნადირთან გიხმეს ფალავანს,
რას შეგაფხვნიდა ნეტავი
ქვითკირის ციხე-გალავანს?!
ვახ! მამაშენის ნაღდ ცრემლებს
ვერც ჩემი გული იტევსა,
რა ფალავანი გაგზარდა
ვაი, დედასა, ქიტესა!
სანამდის საქართველოში
დაიწურება მტევანი,
იბრწყინებს შენი სახელი,
თედიანთ ბიჭო, ლევანი!

დავით ტიბინაშვილი

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 23184601 ;
საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com